# Arabesque

BALLET MAGAZINE
No1(16)'11



Praying
for you and
with you
Japan!




KSB ქორ სტანდარტ ბანკი

55 00 00 www.KSB.ge

გონივრული ალტერნატივა

ბრავო! ბრავო! ბრავო!

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გენერალური სპონსორი

სილქნეტი
SILKNET
ყველაფერი კავშირშია



# თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპონსორი

სილქლაინი — თქვენი სახლის ტელეფონი
სილქკომი — მაღალი სიჩქარის ინტერნეტი
სილქტელი — თქვენი უკაბელო ტელეფონი
სილქტივი — ახალი თაობის ინტერაქტიული ტელევიზია

სილქლაინი SILKLINE
სილქკომი SILKCOM
სილქტელი SILKTEL
სილქტივი SILKTV

www.silknet.com

No1(16)2011

# Arabesque

Ballet Magazine „არაბესკი" ჟურნალი ბალეტზე






ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის
საბალეტო დასის ჟურნალი

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF
THE TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET STATE THEATRE

**გამოდის წელიწადში ორჯერ** **Issued twice a year**

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი
**ნინო ანანიაშვილი**

ARTISTIC DIRECTOR OF THE BALLET COMPANY
**NINA ANANIASHVILI**

| | |
|---|---|
| **მთავარი რედაქტორი** | **Editor-in-Chief** |
| **ილია თავბერიძე** | **ILIA TAVBERIDZE** |
| ინგლისური ტექსტების რედაქტორი | Editor of the English language version |
| თორნიკე ხომერიკი | TORNIKE KHOMERIKI |
| დიზაინი | Design by |
| ბესიკ დანელია | BESIK DANELIA |
| ფოტოგრაფი | Photographer |
| ლადო ვაჩნაძე | LADO VACHNADZE |

გარეკანზე ნინო ანანიაშვილისა და საბალეტო დასის გზავნილი-პლაკატი იაპონელი ხალხისადმი

On the cover: The banner of the message from Nina Ananiashvili and the State Ballet of Georgia to the people of Japan

ჟურნალში გამოყენებულია საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის, ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმის, ნინო ანანიაშვილის და ბალეტის მსახიობთა პირადი არქივის ფოტოები

The photographs used are presented from the arhives of the Museum of Theatre, Film, Music and Choreography of Georgia; the Opera and Ballet Theatre Museum; the private archives of Nina Ananiashvili and the ballet artists.



ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.



თბილისი, რუსთაველის გამზ. 25
25, RUSTAVELI ave. 0108, TBILISI, GEORGIA
ტელ/TEL: +995 32 99 93 64

ტირაჟი: 300

UDC(უაკ)792.8
A-70
ISSN 1512-3294

www.ballet.ge



06 თარიღი · DATE
ჭაბუკიანის დღეები
THE CHABUKIANI DAYS

14 ილია თავბერიძე
ჭაბუკიანი-გალა
CHABUKIANI GALA
ILIA TAVBERIDZE

22 მარგარეტ უილისი
ჭაბუკიანი გაიხსენეს
CELEBRATING CHABUKIANI
MARGARET WILLIS

25 მეიბრიტ ჰელმსბო
ცეკვა ანთებულ ნაკვერჩხალზე
DANCE ON BURNING EMBERS
MAJBRIT HJELMSBO

28 ფოტორეპორტაჟი
PHOTOREPORT









Weekendavisen Kultur # 44 5. november 2010 9

**Ballet.** Georgien fejrer 100-året for fødslen af nationalikonet og virtuosdanseren Vakhtang Chabukiani, der løftede Den Georgiske Statsballet op i eliten.

# Dans på gløder

AF MAJBRIT HJELMSBO

Lali Kandelaki og Vasil Akhmeteli i Laurencia.

**Meta.** Tidens rockmusikere skriver om at skrive sange og indspiller nye sange oven på eksisterende grundformer.




30 BALLET NEWS

ნინო მდევაძე
32 გია მარღანია: „პროფესიით ქორეოგრაფი ვარ, ვაზროვნებ როგორც რეჟისორი“
„I AM A CHOREOGRAPHER BY PROFESSION, AND THINK LIKE A DIRECTOR”
NINO MDEVADZE

36 დასი
THE COMPANY

37 პრემიერები
PREMIERES

არქივი · ARCHIVE
38 თამარა თუმანოვას უნიკალური ფოტოები საქართველოში
UNIQUE PHOTOMATERIALS OF TAMARA TOUMANOVA, SOON IN GEORGIA

ჯილდო · AWARD
40 ნინო ანანიაშვილს იტალიის სოლიდარობის ვარსკვლავის ორდენი გადასცეს
NINA ANANIASHVILI HAS BEEN AWARDED THE ORDER OF THE STAR OF ITALIAN SOLIDARITY

სათავეებთან · AT THE ROOTS
ლეილა ჭიჭინაძე
42 მარია პერინის ზღაპრული სამყარო
THE FAIRYLAND OF MARIA PERINI
LEILA CHICHINADZE

ხსოვნა · MEMORY
47 ვახტანგ გუნაშვილი
VAKHTANG GUNASHVILI

ხსოვნა · MEMORY
47 თენგიზ სანაძე
TENGIZ SANADZE

48 გასტროლები 2011
TOURS 2011






# იაპონია

არასდროს ყოფილა ჩემთვის უბრალოდ ქვეყანა. მე ვაღმერთებ ჩემს მაყურებელს – იაპონელები კი ხშირად ყოფილან ჩემი მაყურებლები.

მიწისძვრის შემდეგ გამოწვეული პირველი ემოცია უცნაური იყო – გამახსენდა ყველაფერი საუკეთესო, რაც ამ ქვეყანასთან მაკავშირებს. ჩემთვის ორჯერ აღნიშნული იუბილე და კომპანია „Japan Arts“-თან ოცწლიანი თანამშრომლობა.

ყველაფერი ამ ორი ათეული წლის წინ დაიწყო. გულწრფელი პუბლიკისთვის ცეკვა დიდი ბედნიერებაა. მოცეკვავისთვის კი – მაყურებელი ყველაზე მნიშვნელოვანი. ჩვენ ერთმანეთს ვავსებთ – მე და ჩემი იაპონელი მაყურებელი... ასე შემოიჭრა იაპონია ჩემს ცხოვრებაში. ამიტომ, მათი ტრაგედია ჩემს პირად ტკივილად იქცა.

„ვლოცულობთ შენთვის და შენთან ერთად იაპონია!“ – ეს მხოლოდ ქართული ბალეტის გზავნილი არაა; ეს ყოველგვარი პათეტიკისგან თავისუფალი და გულისთქმას აყოლილი ადამიანების სიტყვებია, ჩემი კოლეგების – ქართული ბალეტის დღევანდელი თაობის თანაგრძნობა, რომლებმაც საკუთარ თავზე არაერთხელ გამოსცადეს იაპონელთა სითბო და სიყვარული.

ჩემი რეპერტუარიდან „სიზმრები იაპონიაზე“ განსაკუთრებით მიყვარს. ეს ბალეტი პირველად 1998 წელს, მსოფლიო ბალეტის შვიდ ვარსკვლავთან ერთდ, ვიცეკვე. სცენაზე უჩვეულო დეკორაციაა – შავ ფონზე დიდი წითელი მზე ანათებს. იაპონიის ტრაგედიის შემდეგ, როცა ვფიქრობდით, როგორ უნდა გამოგვეხატა თანადგომა სწორედ ჩემი საყვარელი ბალეტის დეკორაცია გამახსენდა – ასე იქცა შავ ფონზე ამოსული აღმოსავლური მზე ქართული საბალეტო დასის გზავნილად იაპონელი ხალხისადმი.

როცა მომხდარის გააზრება დავიწყე – შემეშინდა. ვფიქრობდი, იქნებ გაუჭირდეთ ამ შოკიდან გამოსვლა. ახლა კი ვხდები რა არის ის, რამაც „ამომავალი მზის ქვეყანა“ „მომავლის ქვეყანადაც“ აქცია. მე ახალი იაპონია აღმოვაჩინე – ათასობით დაღუპული ადამიანის ტრაგედიით შეძრული, დანგრეული, დაზარალებული, უდიდესი დანაკლისით, მაგრამ ცხოვრების ხელახლა დაწყების უზარმაზარი ნიჭით და უნარით. ეს იაპონური ფილოსოფიაა, რომლის მიხედვით მზე აუცილებლად, თეთრ, ნათელ სივრცეში ამოვა.

**ნინო ანანიაშვილი**



# Japan

has never been just a country for me. I love my audience, and I have danced so many times there.

The earthquake was followed by strange emotion for me – I remembered all the best that bounds me with this country. Tours, two anniversaries and 20 years of collaborating with Japan Arts.

All this began twenty years ago. It is great joy to dance for sincere audience, as they are of most importance for a dancer. We – I and my Japanese audience – complement each other, and that is how Japan came into my life, so their tragedy became my own pain. "Praying for you and with you Japan!" was not just a message from the Georgian ballet. These are words free of pathos, words from person expressing their heartfelt emotion. These are words of compassion from my colleagues – the current generation of the Georgian ballet – who have experienced the warmth and love of the people of Japan.

From my repertory I have special love for *Dreams About Japan*. It was 1998 when I first danced it alongside seven starts of international ballet, on unusual scenery of red sun on plain black background. When the disaster struck Japan I was thinking how we could express our support to the country and recalled this set from my favorite ballet. It became the message of the Georgian ballet to the people of Japan.

When I started realizing all that happened I was afraid that the country would find it difficult to overcome the nightmare they found themselves in, although now I understand what made the Country of the Rising Sun the Country of the Future – I discovered new Japan, shaken with tragedies of thousands of people, in ruins, although with great talent and ability for beginning a new life. This is a Japanese philosophy, according to which the sun will always rise from white, bright space.

**Nina Ananiashvili**





# ჭაბუკიანის დღეები
# The Chabukiani DAYS

2010 წლის 20-22 ოქტომბერს თბილისში ვახტანგ ჭაბუკიანის საიუბილეო დღეები გაიმართა, რომლის მთავარი მასპინძელი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი და მისი საბალეტო დასი გახლდათ. საიუბილეო დღეები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით მოეწყო. ვახტანგ ჭაბუკიანის იუბილე იუნესკომ მსოფლიოს მნიშვნელოვან საიუბილეო ღონისძიებათა ჩამონათვალში შეიტანა. თბილისს საიუბილეოდ უამრავი სტუმარი ეწვია.

**On October 20-22, 2010 Tbilisi was the place for the Vakhtang Chabukiani Anniversary Days, main host of which was the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre and its ballet company. The anniversary days were organized with the support of the Ministry of Culture and Monuments Protection of Georgia and the Tbilisi City Hall.**
**The anniversary was marked by the UNESCO among the significant international anniversaries of 2010. Tbilisi hosted numerous guests for the events.**

დღე Day 1

20 ოქტომბერი OCTOBER

**ა. კრეინი „ლაურენსია“**

**A. Krein *Laurencia***

რუსთაველის თეატრი At the Rustaveli Theatre



პასკუალა – ცისია ჩოლოყაშვილი, მენგო – ალექსანდრე ცვარიანი. „ლაურენსია“
Pascuala – Tsisia Tcholokashvili, Mengo – Alexander Tsvariani. *Laurencia*

საიუბილეო დღეები, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, ა. კრეინის ბალეტ „ლაურენსიით“ გაიხსნა. მთავარი პარტიები ლალი კანდელაკმა და ვასილ ახმეტელმა იცეკვეს. მენგოს პარტია ჩელიაბინსკის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტმა ალექსანდრე ცვარიანმა შეასრულა, რომელიც თბილისში სპეციალურად ჩამოვიდა ჭაბუკიანის საიუბილეო დღეებში მონაწილეობის მისაღებად.

თეატრში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა ნინო ანანიაშვილმა, მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის და ჭაბუკიანის დღეები გახსნილად გამოაცხადა.

The anniversary days were opened with the performance of *Laurencia* at the Rustaveli State Theatre. Lali Kandelaki and Vasil Akhmeteli danced the principal roles, while Mengo was performed by Alexander Tsvariani, soloist of the Chelyabinsk Opera and Ballet State Theatre, invited to Tbilisi for participating in the anniversary days.



## ტატიანა ტერეხოვა

*ბალეტმაისტერი, მარიას თეატრი*

**რუსეთი**

## Tatiana Terekhova

*Ballet master, Mariinsky Theatre*

**Russia**

„მეტად სასიამოვნოა, რომ თბილისში „ლაურენსია“ აღადგინეს. არც ერთ სხვა თეატრს, მარიას თეატრის ჩათვლით, სადაც ეს ბალეტი დაიბადა, ეს დადგმა რეპერტუარში არ გააჩნია. ნინო ანანიაშვილმა დიდი სამუშაო გასწია, რათა ეს ბალეტი მისი მშვენიერი ცეკვებით, მუსიკით, გმირებითა და ლალი კანდელაკის მიერ ნაჩვენები ტექნიკური შესრულების ტალანტით, თქვენი თეატრის რეპერტუარში დაებრუნებინა“.

"It is very pleasing that *Laurencia* has been reconstructed in Tbilisi. No other theatre – including the Mariinsky where this ballet was born – has the production in their repertory. Nina Ananiashvili has done such a remarkable job to return this ballet with wonderful dances, music, characters and the technical ability demonstrated by Lali Kandelaki to the repertory here".





**ტატიანა კუზნეცოვა**

*გაზეთი "Коммерсантъ"*

**რუსეთი**

**Tatiana Kuznetsova**

*The Commersant newspaper*

**Russia**

ლაურენსიას" ნახვის შემდეგ დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ ლალი კანდელაკის შესრულებისაგან – მისი ტექნიკა და სიმკვეთრე საერთაშორისო დონეს წარმოადგენს. დიდი ინტერესით ველოდები გალა-კონცერტს, სადაც – მსოფლიო ვარსკვლავებთან ერთად – საერთაშორისო დასში მოღვაწე ქართველი ვარსკვლავები მიიღებენ მონაწილეობას".

"I was impressed by Lali Kandelaki from the *Laurencia* performance by the State Ballet of Georgia. She represented an international level of dancing with her technique and sharpness. And I am looking forward to the gala concert to see all the Georgians from around the world on the same stage, alongside the international stars of ballet."

**კაროლინა ლორკა**

*მიუნხენის საბალეტო სკოლის პროფესორი*

**გერმანია**

**Caroline Llorca**

*Professor of classical ballet, Munich University of Music and Performing Arts*

**Germany**



ჭაბუკიანი მსოფლიო ბალეტის ერთ-ერთი დიდი სახელია. მის შესახებ პარიზშიც მქონდა გაგონილი, შემდეგ კი, როდესაც საფრანგეთის მთავრობის მიერ ვაგანოვას საბალეტო სკოლაში ვიყავი სასწავლებლად გაგზავნილი, ჩემი პედაგოგი – მისი ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი, ნატალია დუდინსკაია გახლდათ. ის კლასში ხშირად საუბრობდა ჭაბუკიანზე. მისი ნახვა კინო ფირზეც შეგვიძლია და ის მაშინვე გიყვარდება. უნდა იამაყოთ, რომ ჭაბუკიანი გყავდათ. მისი „ლაურენსია" ქორეოგრაფიის გამორჩეული ნიმუშია და მეტად სასიამოვნო იქნებოდა, თუკი ამ ბალეტის ხილვა მსოფლიოს სცენებზეც იქნებოდა შესაძლებელი.

"Chabukiani is one of the great names of international ballet. I have known his name in Paris, and then I was sent by the French government to study at the Vaganova school of ballet, where I studied under Natalia Dudinskaya - one of his major partners. She often talked in class about Chabukiani and the experience of dancing with him. Also we can see him in videos, which make you fall immediately in love with him. You are very lucky in Tbilisi to have had him. His Laurencia is a remarkable piece of choreography and it would be great if it could be seen on international stages."



მთავარ პარტიებში მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტები ანასტასია სტაშკევიჩი და ვიაჩესლავ ლოპატინი გამოდიოდნენ.

**The Bolshoi soloists Anastasia Stashkevich and Vyacheslav Lopatin danced the principal roles.**

## ვიაჩესლავ ლოპატინი
## Vyacheslav Lopatin

„ვახტანგ ჭაბუკიანი განსაკუთრებული მოცეკვავე იყო, რომელმაც დიდი მემკვიდრეობა დატოვა – მისი ცეკვიდან დღესაც სწავლობენ ახალგაზრდა მოცეკვავეები. ჩემთვის ეს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დასთან თანამშრომლობის პირველი შემთხვევაა და მსურს აღვნიშნო, რომ ეს ერთობლივი მუშაობა მეტად საინტერესო გამოდგა“.

"Vakhtang Chabukiani was a special dancer who left after him a great amount of knowledge that dancers today learn from. For me this is the first occasion of collaborating with the Tbilisi Opera and Ballet State Theatre and I must note that working with the artists here is very interesting and pleasing."

## ანასტასია სტაშკევიჩი
## Anastasia Stashkevich

„მსურს მადლობა გადავუხადო ვახტანგ ჭაბუკიანის საიუბილეო დღეების ორგანიზატორებს, ნინო ანანიაშვილს – მოწვევისა და მხარდაჭერისათვის. ის ახალგაზრდა ბალერინებისათვის დიდი მაგალითია, მისი ენერგიითა და იმ გზავნილით, რომელსაც მაყურებელი მისგან იღებს“.

"I would like to express my gratitude to the organizers of the Vakhtang Chabukiani Anniversary Days, and Nina Ananiashvili for her invitation and support. She is a great example for young ballerinas with her energy and the message she gets across to the audience."

დღე 3 Day

23 ოქტომბერი OCTOBER

## მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი, „დედა ენის“ ბაღი
## Mtatsminda Pantheon of Writers and Public Figures, the Deda Ena park

ვახტანგ ჭაბუკიანის ხსოვნის პატივის მისაგებად პანთეონში თავი მოიყარეს სტუმრებმა, საბალეტო დასის პედაგოგებმა და მოცეკვავეებმა, ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგებმა და აღსაზრდელებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა. მათ ყვავილებით შეამკეს ვახტანგ ჭაბუკიანის საფლავი.

შუადღისას „დედა ენის“ ბაღში სტუმრებმა, ქალაქ თბილისის მერთან გიგი უგულავასთან ერთად, ჭაბუკიანის ხეივანი გააშენეს და ხეები დარგეს.



საიუბილეო დღეების მონაწილეები „დედა ენის“ ბაღში ქალაქის მერთან გიგი უგულავასთან ერთად

Participants of the anniversary days with the Tbilisi city mayor Gigi Ugulava in the Deda Ena park

**The Mtatsminda Pantheon was visited by the guests, company pedagogues and dancers, as well as teachers and pupils of the choreographic school, and social figures. They paid homage to Vakhtang Chabukiani's memory by decorating his grave with flowers.**

**At the midday the guests – alongside the Tbilisi City Mayor Gigi Ugulava – planted trees in the Chabukiani Alley.**



### ენტონი რასელ-რობერტსი
*ინგლისის სამეფო ბალეტი*
დიდი ბრიტანეთი

### Anthony Russell-Roberts
*Royal Ballet*
**Great Britain**

„იმის გათვალისწინებით, რომ ჭაბუკიანი დიდი ლეგენდა იყო, ალბათ მასზე საჭიროზე ნაკლები ვიცი. ერთი რამ, რაც ჩემთვის ყოველთვის იყო ცნობილი არის ის, რომ ჭაბუკიანი მისი დროის სენსაცია გახლდათ. ინგლისის სამეფო საბალეტო დასში მას დიდ პატივს სცემდნენ და მის პიროვნებაზე ბევრს საუბრობდნენ, თუმცა არც ისე ბევრი იცოდნენ. ის ცნობილი იყო და არის, როგორც საბალეტო სამყაროს ერთ-ერთი დიდი ფიგურა. სამწუხაროა, რომ იგი სცენაზე არ მინახავს.

ვფიქრობ, რომ საქართველოს საბალეტო დასი გამორჩეული და დიდი ენერგიის მქონე კოლექტივია. საქართველოს სამჯერ ვესტუმრე და მეტად შთამბეჭდავია იმ წინსვლის ნახვა, რომელსაც დასმა და მისმა მოცეკვავეებმა მიაღწიეს. დიდი დასის შენებას ყოველთვის დრო სჭირდება და ამ მხრივ ნინო ანანიაშვილმა ძალიან დიდი სამუშაო გასწია. ის ყველას უყვარს მსოფლიოს გარშემო, ამან კი საინტერესო რეპერტუარის შედგენის საშუალება მისცა, რაც ყოველთვის მნიშვნელოვანია მოცეკვავეთა განვითარებისათვის. დასის მონდომება და შრომა სცენაზე ჩანს, ეს კი – ტალანტთან ერთად ისაა, რაც ნებისმიერ მიზანს მიგაღწევინებთ. ბედნიერი ვარ, რომ კვლავ გეწვიეთ“.

“I probably know less than I should about Chabukiani as he was such a legend. One thing I have known is that he was a sensation of his time. In my company – the Royal Ballet – he was very highly revered. Everybody talked about him, but nobody knew much about him. But he has always been known as a great figure in the ballet world, one of the greats from the past everybody knew. Sadly myself I never saw him but I wish I had.

I think the State Ballet of Georgia is an extraordinary company with wonderful spirit. I have been here three times and to see the way the company is developing, and some of the younger artists become stars, is quite remarkable. It always takes time to build a big company and I cannot speak highly enough of what Nina Ananiashvili has achieved. She is so much loved around the world that she has been able to bring in good and interesting repertory, which always helps for developing dancers with new challenges and styles. And you already see on stage that this is a very happy company that works hard. And hard work – with talent – is what gets you everywhere. I am very thrilled to be back.”



ევა კლობორგი, ენტონი რასელ რობერტსი და პოლ პოდოლსკი ფოტოგამოფენის გახსნაზე თბილისის საკონცერტო დარბაზში

Eva Kloborg, Anthony Russell-Roberts, Paul Podolski at the opening of the photo exhibition in the Tbilisi Concert Hall



## პოლ პოდოლსკი

*ნორვეგიის ნაციონალური ბალეტის ადმინისტრატორი*

**ნორვეგია**

## Paul Podolski

*Administrator, Norwegian National Ballet*

**Norway**

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელს მის მიერ მამაკაცის კლასიკური ცეკვის რეფორმა განადიდებს. მახსოვს, როგორ მაჩვენა ნინო ანანიაშვილმა მისი ცეკვის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რომლითაც შოკირებული დავრჩი – მისი სისწრაფე და დინამიკა დაუჯერებელი იყო. მსგავსის ხილვა ალბათ ახლა შეუძლებელია. პირველად საქართველოში 1998 წელს ჩამოვედი, როდესაც საბალეტო დასი უმძიმეს პირობებში მუშაობდა. ხუთი წლის წინ კვლავ ვეწვიე თქვენს ქვეყანას და უკვე მაშინ შეიმჩნეოდა დიდი წინსვლა. დღეს კი სრულიად ახალ დასს ვხედავთ. ნინო ანანიაშვილი უბრალოდ განუმეორებელია“.

“The name of Vakhtang Chabukiani means so much because of what he did for male dancing. I remember Nina Ananiashvili showing me a video of his dancing and I was absolutely shocked – he had such speed and dynamism that you almost do not see anymore. I first came here in 1998 and saw the extraordinarily difficult conditions the ballet company was working in. Then I came back five years ago and it was already a big improvement. And what we see here tonight is another company. Nina Ananiashvili is simply extraordinary.”



დღე 4 Day

24 ოქტომბერი OCTOBER

გალა-კონცერტი
Gala Concert

თბილისის საკონცერტო დარბაზი At the Tbilisi Concert Hall

გალა-კონცერტის გახსნამდე საკონცერტო დარბაზის ფოიეში გაიხსნა ფოტოგამოფენა „ვახტანგ ჭაბუკიანი და ქართული ბალეტი“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმსა და ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმის ფონდებში დაცული უნიკალური მასალა, ფოტოები საბალეტო დასის ფოტოარქივიდან.

**The gala was preceded by the photo exhibition “Vakhtang Chabukiani and the Georgian Ballet”, featuring some unique material from the archives of the Museum of Theatre, Cinema, Music and Choreography of Georgia, and the Vakhtang Chabukiani Museum, as well as photographs from the archives of the ballet company.**



ფრენკ ანდერსენი
*ქორეოგრაფი*
დანია

**Frank Andersen**
*Choreographer*
**Denmark**

ვახტანგ ჭაბუკიანი მსოფლიო ბალეტის დიდი სახელია. მის შესახებ მანამდე შევიტყვე, სანამ ნინო ანანიაშვილი თბილისში ჩამოვიდოდა საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე და აქ მომიწვევდა. ჭაბუკიანის სახელი ჩემთვის იგივეს ნიშნავს, რასაც ავგუსტ ბურნონვილი დანიაში, ჯორჯ ბალანჩინი შეერთებულ შტატებში და მარიუს პეტიპა რუსეთში. მსურს გამოვხატო სიყვარული თქვენი ქვეყნის, ქართველების, საბალეტო დასისა და მისი მოცეკვავეების მიმართ. ისინი ბევრს შრომობენ და მათთან მუშაობა მეტად საინტერესოა“.

“Vakhtang Chabukiani is a great name of the international ballet. Actually it was before Nina came here to start directing the company and invited me here, that I discovered he was Georgian. I would say Chabukiani means the same for me as August Bournonville means in Denmark, George Balanchine means in the United States, and Marius Petipa means in Russia. I love your country, the people, the company, its dancers – they work very hard and are interesting to work with.”



ფრენკ ანდერსენი და ნინო ანანიაშვილი გალა-კონცერტის გახსნაზე
Frank Andersen, Nina Ananiashvili at the opening of the gala evening



## პოლ კიურანი

*ნორვეგიის ნაციონალური ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი*

**ნორვეგია**

## Paul Curran

*Artistic Director, Norwegian National Opera*

**Norway**

ვახტანგ ჭაბუკიანთან ბევრი რამ მაკავშირებს. ჩემი პედაგოგი იყო სულამიფ მესერერი დიდი თეატრიდან, რომელიც ბატონ ვახტანგს კარგად იცნობდა; ასევე, დიდი ხნის წინ, როდესაც ახალგაზრდა მოცეკვავე ვიყავი, ჩემი ერთ-ერთი ახლო მეგობარი ჭაბუკიანის პარტნიორი, ნატალია დუდინსკაია გახლდათ. ეს ქალბატონები ყოველთვის ჭაბუკიანზე საუბრობდნენ, როდესაც ჩემთვის რჩევის მოცემა სურდათ. მეუბნებოდნენ: „უყურე ჭაბუკიანს – სწორედ ასე უნდა გამოიყურებოდეს და ცეკვავდეს მამაკაცი“. ასე რომ ჭაბუკიანის გავლენას 30 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ვგრძნობ. ვფიქრობ, ის მართლაც ღვთიური პიროვნება იყო.

საქართველოს სახელმწიფო ბალეტის შესრულება პირველად ნინო ანანიაშვილის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე დანიშვნის შემდეგ ვიხილე. მათ ბალანჩინის ბალეტები შეასრულეს და ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვეს. ქალბატონ ნინოს ახალგაზრდობის წლებიდან ვიცნობ – ახალი დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის საბალეტო სკოლა, მე კი დიდი თეატრის თარჯიმნად ვმუშაობდი. ვფიქრობ, მის მიერ დასის მაღალი დონის მიღწევისათვის გაწეული სამუშაო მნიშვნელოვანია. ქართული ბალეტი შესრულების ხარისხითაა ცნობილი. ეს ყოველთვის იყო ქალბატონი ნინოს ერთ-ერთი პრინციპი“.

"I have quite a special connection to Vakhtang Chabukiani in many ways because my teacher was Sulamith Messerer from the Bolshoi Theatre who knew him very well, and also when I was a young dancer many years ago, one of my closest friends was Natalia Dudinskaya, who was Chabukiani's partner. They were the ladies who always pointed to Chabukiani to give an example to me. They always said: "Watch Chabukiani. This is how you should look like and how a man dances". So I have had very strong influence of Chabukiani from more than 30 years ago. I think he is a god really.

I first saw State Ballet of Georgia on tour shortly after Nina Ananiashvili became the director. They performed Balanchine and it took my breath away. I have known Nina since we were teenagers – she had just left the ballet school in Moscow, and I worked as interpreter for the Bolshoi Theatre. I think the job she has done here to keep the company going at such a high international level is truly extraordinary, it is a major achievement. The Georgian ballet is known for quality, and that is what Nina has always stood for."



# ჭაბუკიანი-გალა

ილია თავბერიძე

2010 წლის მთავარი საბალეტო მოვლენა ვახტანგ ჭაბუკიანის 100 წლის იუბილე გახდა. გენიალურ მოცეკვავესა და დიდ ქორეოგრაფს 100 წელი თებერვალში შეუსრულდა, მაგრამ საბალეტო დასის იაპონიაში ერთთვიანი გასტროლის გამო, იუბილის გამართვამ რამდენჯერმე გადაიწია. თუმცა წლის განმავლობაში ამ თარიღს უამრავი ღონისძიება მიეძღვნა. იუნესკომ იუბილე მნიშვნელოვან ღონისძიებათა ჩამონათვალშიც კი  შეიტანა. 24 ოქტომბერს თბილისის საკონცერტო დარბაზში გამართულ გალა-კონცერტზე ჭაბუკიანს კიდევ ერთხელ დაუკრეს ტაში. დარბაზში მსხდომი უცხოელი სტუმრებისა თუ გალა-კონცერტის მონაწილეთა ვარსკვლავურმა შემადგენლობამ, რითაც ქართული საბალეტო პუბლიკა განებივრებული არ არის, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჭაბუკიანი მოვლენაა. მისი ქორეოგრაფია ამჯერად (2007 წელს „ლაურენსიას" აღდგენის შემდეგ) პირველი ქართული ბალეტიდან აღდგენილი ადაჟიოთი გაცოცხლდა (ნინო გოგუა და ვასილ ახმეტელი). „მთების გულიდან" აღადგინეს ის პოპულარული ნომერიც, რომელსაც ჭაბუკიანი, როგორც თანამედროვენი ამბობენ, საკუთარ იუბილეზე ხშირად ასრულებდა. „ხორუმი" ამჯერად საბალეტო დასისა და ანსამბლ „რუსთავის" მოცეკვავეებმა იცეკვეს (სოლისტი ვასილ ახმეტელი). ის ოდნავი უკმარობის განცდა, რომელიც წინა დღეს „დონ კიხოტში" დიდი თეატრის ახალგაზრდა წყვილმა ანასტასია სტაშკევიჩმა და ვიაჩესლავ ლოპატინმა დატოვეს, გალა-კონცერტზე მათივე შესრულებულმა „დიანა და აქტეონის" პა დე დემ სრულიად გააქარწყლა. იგრძნობოდა რუსული სკოლის ტრადიციების გავლენა. განსაკუთრებით ძლიერი შესრულება გვიჩვენა ლოპატინმა. მოცეკვავეს გამართული ტექნიკური შესაძლებლობები, მსუბუქი და მაღალი ნახტომი გამოარჩევდა. გალა-კონცერტის მონაწილეთა შორის ბევრი მონაწილე ქართული წარმომავლობისა და მსოფლიო ბალეტის სამყაროში მათი გამორჩეული ადგილის მიხედვით იქნა შერჩეული.

ელენე გლურჯიძე, ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინა, პირველად იხილა ქართველმა მაყურებელმა და დამსახურებული ტაში დაუკრა. ადაჟიო ბალეტ „მანონიდან" არიონელ ვარგასთან, მის პარტნიორთან და ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრემიერთან, ლაღი, გულწრფელი და სიყვარულით სავსე დუეტი გამოდგა. ჩაიკოვსკის პა დე დეს (ბალანჩინის ქორეოგრაფია) შესრულებაში მათი ტექნიკური შესაძლებლობები უფრო ხაზგასმული იყო.  დავით მახათელმა (კოვენტ გარდენი) გალა-კონცერტისთვის პეტიპას კლასიკური პა დე დე შეარჩია „გედების ტბიდან" და იუბილეზე კოვენტ გარდენის პრიმა-ბალერინა თამარა როხო მოიწვია. როხო მსოფლიოში ცნობილი შემსრულებელია, ძალიან დახვეწილი და კლასიკური მანერებით, თუმცა ემოციისა და ვირტუოზული შერულების მოყვარულ პუბლიკაზე მან დიდი შთაბეჭდილება ვერ



ნატალია სომოვა, სემიონ ჩუდინი. Petite Mort
Natalia Somova, Semyon Chudin. Petite Mort

მოახდინა. კიდევ ერთმა ქართველმა პრიმამ და ჭაბუკიანის მოსწავლემ ირმა ნიორაძემ რატომღაც ნაკლებად ცნობილი ქორეოგრაფის პოლუბენცევის მიერ მისთვის დადგმული ნომერი შემოგვთავაზე პიაცოლას „ტანგოზე“. მარიის თეატრის პრიმა-ბალერინას რეპერტუარში საუკეთესო ნომრები არსებობს, სადაც მისი შესაძლებლობები კარგად ჩანს. ამ ნომრის ვერც ქორეოგრაფიულმა ტექსტმა, ვერც კოსტიუმებმა და ვერც ეკრანზე ჩაფიქრებულმა პროექციამ ვერ დატოვეს რაღაც ორიგინალურის შთაბეჭდილება. ჭაბუკიანის კიდევ ერთი მოსწავლე, რომელმაც მსოფლიო ბალეტის სამყაროში გამორჩეული ადგილი დაიკავა – იგორ ზელენსკი დღეს ნოვოსიბირსკის ბალეტს ხელმძღვანელობს. არ არის გასაკვირი, რომ ზელენსკი „ბაიადერადან“ პა დ'აქსიონის ცეკვას დათანხმდა. ამ ბალეტში, როგორც ბევრ სხვა კლასიკურ სპექტაკლში, მამაკაცის ვარიაციები თავად ჭაბუკიანმა დადგა. დღეს მას მსოფლიოს ბევრ სცენაზე ცეკვავენ და თითქმის არ იციან, რომ იგი ვირტუოზმა მოცეკვავემ ჭაბუკიანმა შექმნა და დაამკვიდრა საბალეტო თეატრში. სიმართლე გითხრათ ამ გალა-კონცერტის და საიუბილეო დღეების საერთაშორისო მასშტაბით აღნიშვნის მთავარი მიზანი მსოფლიოსათვის ამის გაცნობა უფრო იყო. იუბილეს უკვე გამოეხმაურენ ევროპის რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოცემის საბალეტო მიმომხილველები, რომელთათვისაც ჭაბუკიანის ცეკვის ვიდეოკადრების ნახვა გალა-კონცერტზე ნამდვილი სენსაცია აღმოჩნდა. ამ ჩანაწერებში იგი უკვე 40 წელს გადაცილებულია, მაგრამ მაინც ვირტუოზული და ჩვეულად ენერგიული.

ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის ნინო ანანიაშვილის კონტაქტები საბალეტო სამყაროში ამ გალა-კონცერტის პროგრამაშიც თვალსაჩინო იყო. მისი ყოფილი პარტნიორი ამერიკის ბალეტის თეატრში ანხელ კორელა (ამჟამად ესპანეთის კორელა ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი) თბილისს დასთან – კარმენ კორელასთან ერთად ეწვია. ორივე ნომერი, რომელიც კონცერტის პროგრამაში კორელას მონაწილეობით იქნა შესრულებული, არ გახლავთ კლასიკური საბალეტო რეპერტუ-არიდან, თუმცა ეფექტურია და პუბლიკის ემოციაზეა გათვლილი. კორელა უფრო თამაშობდა სცენაზე, აწყობდა დაუვიწყარ დღესასწაულს, უღიმოდა მაყურებელს და თანამშრომლობას სთავაზობდა. სწორედ ამან მოხიბლა პუბლიკაც, რომელიც დიდხანს არ თმობდა კორელას. ერთი კონცერტის ფარგლებში ძნელია ამ ვირტუოზი შემსრულებლის შესაძლებლობათა სრულად დანახვა.  კორელა უნად ნახოთ კლასიკური ბალეტებში. საბედნიეროდ ამის შესაძლებლობა ქართულ საბალეტო დასს იაპონიაში 2007 წლის გასტროლის დროს ჰქონდა, როცა მან „დონ კიხოტში“ ლალი კანდელაკთან ერთად იცეკვა. საბედნიეროდ ამ სპექტაკლის ჩანაწერი არსებობს და YouTube-ზე მას ბევრი მნახველი ჰყავს.

გალა-კონცერტის პროგრამიდან უნდა გამოიყოს კიდევ ერთი წყვილი – მოსკოვის სტანილავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის სოლისტები ნატალია სომოვა და სემიონ ჩუდინი. მათი არჩევანი ირჟი კილიანის ბალეტ-შედევრის *Petite Mort* ადაჟიოზე შეჩერდა, რომელიც მოცარტის 21-ე საფორტეპიანო კონცერტის მუსიკაზეა დადგმული. ადაჟიო, როგორც ქორეოგრაფიის, ისე შესრუ-ლების თვალსაზრისით, გალა-კონცერტის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნაწილი აღმოჩნდა.

ნინო ანანიაშვილის გამოსვლა გალა-კონცერტზე, ალბათ, „მომაკვდავი გედის“ შესრულებითაც საკმარისი იქნებოდა, სადაც კიდევ ერთხელ გაიბრწყინა პრიმა-ბალერინას მსუბუქმა მკლავებმა და ჰაეროვანმა მოძრაობებმა. მაგრამ ანანიაშვილმა გალა-კონცერტისთვის მისთვის დამახასიათებელი ორიგინალური ნომრის მომზადება გადაწყვიტა და როგორც თავად აღნიშნავს საკმაოდ სპონტანურად. ასე იყო ორი წლის წინ, როცა ის ამერიკის ბალეტის თეატრს ემშვიდობებოდა. მაშინ მას, ოთხ ამერიკელ პარტნიორთან ერთად, ხაჩატურიანის ვალს-მასკარადზე ნომერი დაუდგა ალექსეი რატმანსკიმ, როგორც ერთგვარი ჟესტი მეტროპოლიტენ ოპერის სცენაზე 16 წლიანი კარიერის დასრულების სამადლობლად. ამჯერად იდეა ნინო ანანიაშვილს ერთმა ფოტომ და რუსი ბალერინას მარინა სემიონოვას მონათხრობმა უკარნახა. ცნობილია, რომ კარიერის დასაწყისში ჭაბუკინმა თავის პარტნიორს ტატიანა ვეჩესლოვას „ლეკური“ დაუდგა. ამ ნომრის მხოლოდ ფოტოა შემორჩენილი, სადაც  ვეჩესლოვა ჩოხითა და კავკასიური ქუდითაა. ამ ნომრის „შინაარსი“ სემონოვამაც იცოდა, რადგან მოგვიანებით ისიც ასრულებდა. ანანიაშვილმა ეს მონათხრობი დეტალურად გაიხსენა და გია მარღანიასთან ერთად სამ  დღეში შექმნა „ლეკური“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტეს“ ცნობილ მელოდი-აზე. სცენაზე პრიმა-ბალერინა აკეცილი თეთრი ჩოხით, ყარაკულის ქუდით და პუანტებზე დამაგრებული აზიურებით გამოჩნდა, რასაც პუბლიკის ხანგრძლივი ოვაციები მოყვა.

კონცერტს არ ჩაუვლია ქართული ბალეტის მონაწილეობის გარეშე – ლალი კანდელაკი, ქართული ბალეტის პრიმა-ბალერინა და ერთ-ერთი საუკეთესო ლაურენსია ამ პარტიის მრავალრიცხოვან შემსრულებელთა შორის, ჭაბუკიანის რთული ვარიაციებით და იგორ ზელენსკისათვის გაწეული სათანადო პარტ-ნიორობით „ბაიადერაში“; ნინო გოგუა, „მთების გულის“ ადაჟიოში ვასილ ახმეტელთან ერთად და ამ უკანასკნელის სოლო „ხორუმში“; და ბოლოს კორდებალეტი, ახალგაზრდა მოცეკ-ვავეები, რომელთა უკეთეს შესრულებას ვისურვებდით მომავალში. მაგრამ, სწორედ ისინი – ქართული ბალეტის დღევანდელი მოცეკვავეები იყვნენ ამ საიუბილეო დღეების მასპინძლები – თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის მოცეკვავეები, იმ დასის, რომელიც ჭაბუკიანმა შექმნა და რომლისგანაც გაუგებარი, მოგონილი მოტივებით გააგდეს. საქართველოში სჩვევიათ ადამიანების გარდაცვალების შემდეგ დაფასება.

# Chabukiani Gala

**Ilia Tavberidze**

The 100 years anniversary of Vakhtang Chabukiani's birth became the main ballet event of the 2010. Centenary of genius of dance and choreography was due in February, although the celebrations had to be postponed because of the State Ballet of Georgia's month-long tour of Japan. Still, the date was marked throughout the year, with the UNESCO marking it as one of the internationally celebrated anniversaries. His art was applauded again at the gala concert on October 24 at the Tbilisi Concert Hall. Chabukiani being a phenomenon was underlined by the star line-up on stage and the presence of famous foreign guests in audience. His choreography was revived (following *Laurencia* in 2007) with the adagio (Nino Gogua, Vasil Akhmeteli) reconstructed from the first Georgian ballet *The Heart of the Mountains*. The popular number of the production – the one Chabukiani used to perform on his anniversary – was reconstructed as well. The *Khorumi* was performed this time by the ballet company and the Rustavi State Ensemble (with the company's Vasil Akhmeteli as soloist). The feeling of insufficiency left after the *Don Quixote* performance by the young Bolshoi duo Anastasia Stashkevich and Vyacheslav Lopatin was entirely erased by their great Diane and Acteon pas de deux on the gala evening. You could notice Russian ballet school traditions, with Lopatin's performance being especially strong with solid technical ability, soft and high jump. Many performers of the night were chosen by their Georgian ancestry and significant place in the ballet world. Elena Glurdjidze, principal of the English National Ballet, was seen for the first time by the Georgian audience, and received a deserved applause. Her *Manon* adagio with the ENB principal and her partner Arionel Vargas was a dance full of sincerity and love, while the *Tchaikovsky pas de deux* (choreography by Balanchine) underlined their technical ability. David Makhateli (the Covent Garden) chose Petipa's classical pas de deux from *Swan Lake* for the gala, and invited Tamara Rojo - principal of the Covent Garden – for partnership. Rojo is an internationally acclaimed dancer with her greatly refined and classical manners, although didn't make great impression on the public used to virtuoso and emotional performances. The Georgian prima – and Chabukiani's pupil - Irma Nioradze for some reason chose to present a number staged by somewhat less known choreographer Polubentsev on Piazzola's Tango. I believe there are more effective numbers in her repertory that would have presented her abilities far better.

Neither the choreographic text of the work, nor its costumes and the visual projection on the background made any impression of originality. Igor Zelensky, another pupil of Chabukiani and the person holding significant place in ballet world, nowadays leads the Novosibirsk ballet. It was not surprising at all that he accepted to perform the pas d'action from *La Bayadere* – the male variations of this ballet, as well as in many other classical productions, were staged by Chabukiani. They are now performed on international stages, while the fact that they are Chabukiani's creations is almost not known. To be honest, making this fact widely known could have been the primary aim of the gala. The anniversary has already drawn reactions from reviewers of the several significant international ballet editions. They were left impressed by the footage of Chabukiani's dancing presented at the gala night. The footage shows him in his forties, although his dancing is as virtuoso and energetic as ever.

The artistic director Nina Ananiashvili's international contacts were apparent again in this gala program – Angel Corella, her partner during Ananiashvili's time at the American Ballet Theatre, and now also the artistic director at the Corella Ballet of Spain – came to Tbilisi with her sister Carmen. Neither of his gala numbers are of classical ballet type, although undeniably effective and aimed at the public's emotion. Corella acted on stage, presented unforgettable celebration, smiled to the spectators and invited them to share the occasion with him. And they were certainly captured by it, not wanting to let him leave the stage. It is difficult to see the abilities of this virtuoso performer in frame of a single concert. Corella should be seen in classical works – the opportunity that fell to the State Ballet of Georgia during their tour of Japan in 2007, where he partnered Lali Kandelaki in *Don Quixote*. The footage of the performance is available on YouTube, counting numerous viewers.

Another couple can be distinguished from the gala program – soloists of the Stanislavsky and Nemirovich-Danchenko Moscow Musical Theatre Natalia Somova and Semyon Chudin went for the adagio from Jirí Kylián's masterpiece *Petite Mort* – staged on the Piano Concerto N.21 by Mozart.



The adagio – both by its choreography and performance – proved to be one of the special parts of the gala.

Nina Ananiashvili's appearance in the night would probably have been already enough for her Dying Swan, featuring soft and graceful movements of the Prima once more, although she also presented an original number for the gala, characteristic to her. Two years ago she went for the same type of surprise performance during her farewell ABT showing, performing the Waltz Masquerade staged by Alexei Ratmansky on Aram Khachaturian's piece, with four partners, to mark the end of her 16-year career at the Met. This time an idea came to her from one photograph and a story told by the Russian ballerina Marina Semyonova. It is known that at the beginning of his career Chabukiani staged *the Lekuri* for his partner Tatiana Vecheslova, and there is a single picture of her in Chokha and hat for the dance.

Semyonova was also familiar with the piece, having performed it herself. Ananiashvili recalled the story and created this gala piece, on well-known score from Viktor Dolidze's *Keto and Kote*, with Gia Marghania in three days. Her appearance on stage in folded white Chokha and with a hat of fur and Asian boot design attached to her pointes drew continued ovation from the crowd.

The evening featured the Georgian ballet as well. Lali Kandelaki - the Prima of the State Ballet of Georgia and one of the best Laurencias among the many performers of the role – presented Chabukiani's complex variations and great partnership to Igor Zelensky; Nino Gogua performed alongside Vasil Akhmeteli in *The Heart of the Mountains*, while the latter also presented the solo of Khorumi; and the young corps, who we hope to see perform better, although who also were the true hosts of these anniversary days. They are dancers of the Tbilisi Opera and Ballet Theatre Ballet Company – the dancers created by Chabukiani and the theatre from which he was ousted with ridiculous motives. It has become familiar in Georgia to credit people post mortem.

ლალი კანდელაკი,
იგორ ზელენსკი. „ბაიადერა"

Lali Kandelaki, Igor Zelensky.
*La Bayadere*

## დავით მახათელი

*ინგლისის სამეფო ბალეტის პრემიერი*

**დიდი ბრიტანეთი**

## David Makhateli

*Principal dancer, Royal Ballet*

**Great Britain**

ვახტანგ ჭაბუკიანი ჩემი პედაგოგი იყო და უნდა აღვნიშნო, რომ ის არ იყო უბრალო ადამიანი – ეს იყო ნამდვილი გენიოსი. მეამაყება, რომ მისი სახელი ჩემს ბიოგრაფიას ამშვენებს და რომ მას პირადად ვიცნობდი. მეტად სასიამოვნოა, რომ მის იუბილეს ასე აღნიშნავენ და რომ ჩვენ მასში მონაწილეობის მისაღებად ვართ მოწვეულნი".

"Vakhtang Chabukiani was my pedagogue and I must say that this was not an ordinary man – this was a genius. I am proud to have his name in my biography and to have known him in person. It is very pleasing that his anniversary is celebrated and that we have been invited to take part in it".

## თამარა როხო

*ინგლისის სამეფო ბალეტის (Covent Garden) პრიმა-ბალერინა*

**დიდი ბრიტანეთი**

## Tamara Rokho

*Principal dancer, Royal Ballet*

**Great Britain**

ჭაბუკიანმა სამუდამოდ შეცვალა მამაკაცის ცეკვა ბალეტში. მის მიერ გაწეული სამუშაოს შედეგად ყოველი მამაკაცი ასრულებდა მოძრაობებს, რომლებიც მანამდე არ არსებობდა. ქართველებს საოცარი მოცეკვავეები გყავთ და უნდა იამაყოთ, რომ მსოფლიო ბალეტის დიდ ფიგურებს ზრდით, რომელთაც შემდეგ მთელი მსოფლიო იცნობს. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რატომაც ვარ დღეს აქ – ვახტანგ ჭაბუკიანის, ნინო ანანიაშვილისა და დავით მახათელის გამო – მათ ყველას პატივს ვცემთ. ქართველი მაყურებელი კი მეტად თბილად იღებს მოცეკვავეებს".

"Chabukiani definitely changed the dance for men for ever. From then on every man had to do a lot of steps that did not exist before.You have amazing dancers and should be very proud as a nation to keep producing all these remarkable people known on an international level. And that is the reason we are here today – because of Nina Ananiashvili, David Makhateli, Vakhtang Chabukiani – we all respect them. And the Georgian public is very warm."



თამარა როხო, დავით მახათელი. „გედების ტბა"
Tamara Rojo, David Makhateli. *Swan Lake*



## იგორ ზელენსკი

*ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი, მარიას თეატრის პრემიერი*

**რუსეთი**

## Igor Zelensky

*Artistic director of the Novosibirsk Opera and Ballet Theatre Ballet Company, principal dancer of the Mariinsky Theatre*

**Russia**

ჭაბუკიანი ნამდვილი ლეგენდა იყო, რომელმაც საბალეტო სამყაროსათვის და განსაკუთრებით მამაკაცთა ცეკვისათვის ბევრი რამ გააკეთა. ბედნიერება მხვდა წილად, მემუშავა მასთან. მისი დადგმების ნახვისას აშკარა ხდება ის სიმაღლეები, რომლითაც მან საბალეტო ხელოვნება განავითარა. სასიამოვნოა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ამ იუბილეზე დასწრება. მსგავსი იუბილე გავმართეთ ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში და იგივეს აკეთებს მსოფლიოს სხვა დასები, რათა სათანადო პატივი მიაგონ ამ ლეგენდარული პიროვნების დაბადებიდან 100 წლის იუბილეს.

თბილისში და თქვენს დასში მიმდინარე სამუშაოები შთამბეჭდავია. თბილისური პუბლიკა კი გამორჩეულია ჩემთვის".

"Chabukiani was a legend who did so much for the ballet world and especially for male dancing. I was fortunate to work with him, and I saw the productions he staged that developed ballet to a whole new level. It is very pleasing to see the anniversary celebrated here – we did the same at the Novosibirsk State Academic Theatre of Opera and Ballet, and the entire ballet world is celebrating 100 years anniversary since the birth of this legendary person.

The developments in Tbilisi and the company are impressive. To see these cultural events with the people and such mentality around is very nice. And the Tbilisi public is my favorite."

## ანხელ კორელა

*ამერიკის ბალეტის თეატრის პრემიერი, კორელა ბალეტის დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი*

ესპანეთი

## Angel Corella

*Angel Corella, principal dancer, American Ballet Theatre, founder and artistic director of Corella Ballet*

**Spain**

ვახტანგ ჭაბუკიანი მსოფლიო ბალეტის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო, განსაკუთრებით მამაკაცი შემსრულებლებისათვის. მან, ვაცლავ ნიჟინსკისთან ერთად, მამაკაცის როლი ბალეტში სრულებით შეცვალა და გაცილებით უფრო საინტერესო გახადა. ეს დღევანდელი ქორეოგრაფების მუშაობაშიც შეგიძლიათ იხილოთ – ნაბიჯები და მოძრაობის სისწრაფე, რომლითაც ისინი მუშაობენ, სწორედ ჭაბუკიანის მემკვიდრეობას წარმოადგენს.

საქართველოს სახელმწიფო ბალეტთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით მეტად კარგი მოგონებები მაქვს. ოთხი-ხუთი წლის წინ იაპონიაში მათთან ერთად ვიცეკვე „დონ კიხოტში“ და ლალი კანდელაკს გავუწიე პარტნიორობა. მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში ვცეკვავდი ნინო ანანიაშვილთან ამერიკის საბალეტო თეატრში. ქართველებსა და ესპანელებს მრავალი მსგავსება გააჩნიათ ხასიათში – მათთვის ემოციურობა და ენერგიულობაა დამახასიათებელი, ამიტომ აქ ჩამოსვლისას თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში. თბილისში ყოველთვის თბილად მხვდებიან, ლალი კი ახლა დასავითაა ჩემთვის. ნინო ანანიაშვილი ერთ-ერთია იმ მოცეკვავეებიდან, რომლებიც სცენაზე ყოფნისას ყველაფერს გასცემენ მაყურებლისათვის. ჩემთვის დიდი პატივია, რომ მისი პარტნიორობა მიწევდა და რომ მას პირადად ვიცნობ. მინდა აღვნიშნო თქვენი მაყურებლის ენთუზიაზმი და ენერგიულობა“.

"Vakhtang Chabukiani was one of the most influential figures in ballet, especially for men. Alongside Vaslav Nijinsky they were the two people who made the ballet for male dancers completely different and much more exciting. You can see today with every choreographer that there is a little bit of Chabukiani in their steps and the speed of movement they try to work with.

I had a great pleasure to dance with State Ballet of Georgia four or five years ago in Japan, doing *Don Quixote* with Lali Kandelaki, and I have danced with Nina all my career in the American Ballet Theatre. The Georgians and the Spanish have very similar personality with lots of emotions and energy, so performing here is like being home for me. Every time I come here they give me hugs and Lali is like my sister now. I have always felt very welcome here, and Nina is one of those dancers who give everything they have when they are on stage. It is an honor to have danced with her and to know her in person. And the audience here is very enthusiastic and energetic."



ანხელ კორელა, We Got it Good
Angel Corella, We Got it Good

## ირმა ნიორაძე

*მარიას თეატრის პრიმა-ბალერინა*

**რუსეთი**

## Irma Nioradze

*Prima ballerina, Mariinsky Theatre*

**Russia**

ვახტანგ ჭაბუკიანის წვლილი მსოფლიო საბალეტო ხელოვნებაში შეუფასებელია. მისი დადგმები კვლავაც ცოცხლობს და მომავალშიც შესრულდება. როდესაც მარიას თეატრში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, „ბაიადერას“ შესრულება მე მხვდა წილად, რაც ჩემთვის განსაკუთრებული პატივია. მისი სული ყოველთვის ჩემთანაა. ბატონი ვახტანგის პედაგოგიური ხელმძღვანელობის ქვეშ ოთხი წელი გავატარე და მის მიერ ჩემთვის მოცემული რჩევები დაუვიწყარია. ის ნამდვილი გენიოსი იყო, ცეკვის ჯადოქარი და ამით უნდა ვიამაყოთ“.

“Vakhtang Chabukiani’s share in international choreography can not be overestimated. His productions are still alive and will continue to be performed. Whenever there is a performance at the Mariinsky Theatre dedicated to his memory, it is my time to dance *La Bayadere* and it marks a special occasion for me – I feel his spirit is always with me. I had an honor to study under his direction for four years and the notes and advices he gave me are unforgettable. He was a genius, a wizard of dance – we should be proud of this”.



ირმა ნიორაძე, ანდრეი ერმაკოვი. „ტანგო“
Irma Nioradze, Andrei Yermakov. *Tango*

## სემიონ ჩუდინი

*კ.სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მოსკოვის მუსიკალური თეატრის სოლისტი*

**რუსეთი**

## Semyon Chudin

*Soloist, Stanislavsky and Nemirovich-Danchenko Moscow Academic Music Theatre*

**Russia**

მეამაყება, რომ ვიცნობ იგორ ზელენსკის, რომელიც ვახტანგ ჭაბუკიანის ერთ-ერთი ბოლო მოსწავლე იყო. ის ბევრს მესაუბრებოდა ბატონ ვახტანგზე, მის ტემპერამენტზე, რომლის მსგავსიც ახლა ალბათ ძნელია იხილო. მისი ჩანაწერების ხილვის შემდეგაც აშკარა ხდება, რომ ასე ველარავინ ცეკვავს.

მშვენიერი ქვეყანა გაქვთ შთამბეჭდავი მოცეკვავეებით. ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ყმაწვილებმაც კი დიდი შთაბეჭდილება დატოვეს თავიანთი ენერგიულობით“.

“I am proud to know Igor Zelensky, who was one of the last pupils of Vakhtang Chabukiani. He spoke a lot to me about the legend Chabukiani was, with his temperament that maybe cannot be seen around anymore. Looking at his videos, nobody is able to do the same now. Georgia is very beautiful, dancers are impressive. Even the young boys of the children’s choreographic ensemble have energy in them from their early age. The public is very warm here.”

## ელენე გლურჯიძე

*ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინა*

**დიდი ბრიტანეთი**

## Elena Glurjidze

*Senior Principal Dancer, English National Ballet*

**Great Britain**

ვახტანგ ჭაბუკიანი მსოფლიოში ცნობილი ფიგურაა, მეტად მნიშვნელოვანი ქართული ბალეტისათვის. ბედნიერი ვარ, რომ ამ მშვენიერ საიუბილეო დღეებში მონაწილეობის მისაღებად ვარ მოწვეული, რომელიც ნინო ანანიაშვილმა, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა და საქართველოს მთავრობამ გამართეს. შთაბეჭდილების ქვეშ ვარ საქართველოს სახელმწიფო საბალეტო დასით. იმ რთული პერიოდის გათვალისწინებით, რომელიც საქართველომ გაიარა, მეტად სასიხარულოა მათგან ასეთი დონის შესრულების ხილვა“.

“Vakhtang Chabukiani is an internationally known figure, and a very significant one for the Georgian ballet. I am happy to be invited to take part in this beautiful anniversary event organized by Nina Ananiashvili, the Opera and Ballet State Theatre and the government of Georgia. I have been impressed by the level of the company and taking into account the difficult times Georgia has gone through, I am happy to see them doing so well now.”

## არიონელ ვარგასი

*ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრემიერი*

**დიდი ბრიტანეთი**

## Arionel Vargas

*Principal Dancer, English National Ballet*

**Great Britain**

ჭაბუკიანმა ისტორია შექმნა. მას უდიდეს პატივს ვცემ, როგორც გენიას, რომელიც ალბათ საუკუნეში ერთხელ იბადება. ქართველი მოცეკვავეები მსოფლიოს სხვადასხვა დასს ამშვენებენ. ასეთივე მშვენიერი დასია საქართველოს სახელმწიფო ბალეტი“.

“Chabukiani made history. The amount of work he did is amazing and he has all my respect as a genius that maybe comes around once in a hundred years. Georgia has wonderful dancers in various international companies, and State Ballet of Georgia is also a great company.”



ელენე გლურჯიძე,
არიონელ ვარგასი. „მანონი“

Elena Glurdjidze,
Arionel Vargas. *Manon*



ვახტანგ ჭაბუკიანის იუბილეს გამოეხმაურა უცხოური პრესა. გთავაზობთ რამდენიმე რეცენზიას მცირეოდენი შემოკლებით:

**The foreign press has already responded to the Chabukiani anniversary. We present some of their reviews in short:**

# ჭაბუკიანი გაიხსენეს

# Celebrating Chabukiani


მარგარეტ უილისი

**By Margaret Willis**


*Dancing Times*

*მარგარეტ უილისი თბილისში ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებზე იმყოფებოდა*

*Margaret Willis journeyed to Tbilisi for the events that marked the centenary of the birth of the great Georgian dancer-choreographer, Vakhtang Chabukiani*

ქართველებს შთაგონებით სავსე ხასიათით იცნობენ. მათი ეს თვისება ადვილად შესამჩნევი ხდება, თუკი გავიხსენებთ, როგორ დაუპირისპირდნენ ისინი რუსეთის დიდ არმიას ორი წლის წინ სამხრეთ ოსეთისათვის ბრძოლებში; ან ვიხილავთ მათ ნაციონალურ ცეკვებს, რომლებშიც მამაკაცები ჰაერში აფრენის შემდეგ მუხლებზე ეშვებიან, შემდეგ კი ფეხის წვერებზე ცეკვავენ თხელ საცეკვაო ფეხსაცმელში; ან დავაკვირდებით დიალოგს ქუჩაში, როდესაც საუბრობენ მათ რთულად ამოსაცნობ, თუმცა მშვენიერ, გამომხატველად ჟღერად ენაზე, მათი თვალები კი, ხელების ჟესტებთან ერთად, ცეკვავს და ელავს. ამის გათვალისწინებით ნამდვილად არაა გასაკვირი, რომ ამ პატარა ქვეყნის ერთმა ლეგენდარულმა მოცეკვავემ „დონ კიხოტში" მის პარტნიორს უთხრა: „აქ ცეცხლივით უნდა ცეკვავდე, რადგან ქართველები სწორედ ასეთ შესრულებას არიან მიჩვეულნი".

„ცეცხლოვანი" ნამდვილად შესაფერი სიტყვაა ვახტანგ ჭაბუკიანის ცეკვის დასახასიათებლად. საქართველოში დაბადებული ჭაბუკიანი დღეს მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მამაკაც მოცეკვავედ ითვლება. მისი ბრუნები, გადაბმული „ჟეტეები", მოელვარე და მბურღავი ტრიალი წარმოდგენებს აღვივებდა, ქარიზმით სავსე პიროვნება კი ყველას აღაფრთოვანებდა. იუნესკომ დააფასა მისი განსაკუთრებული წვლილი ხელოვნების მიმართ და ჭაბუკიანის იუბილე 2010 წლის საერთაშორისო დონეზე აღსანიშნავი მოვლენების სიაში შეიტანა. თარიღი მის




Georgians are recognized as being an intensely zealous nation – just look how they took on the mighty Russian army two years ago over South Ossetia. Or see the passion expressed in their national dances, where men hurl themselves into the air to land on their knees, then dance on the knuckles of their toes in soft kid boots. Or watch a conversation between two people on the street as they chatter in their beautiful gutteral language and note how their eyes dance and gleam, and their hands gesticulate. It was no wonder that this small country's legendary dancer once remarked to his partner in Don Quixote: "Here you must dance like a fire, for Georgians are used to fiery dancers."

A blazing fire is certainly the way to describe the dancing of Vakhtang Chabukiani, born in the Republic of Georgia and one of the world's greatest male dancers of the 20th century. His torpedo turns, streaking jetes, and hole-boring, lightning spins would ignite the performance while his charismatic personality swept everyone up from stage to stalls. UNESCO recognized his unique contribution to the world by including the centenary of his birth in the list of international significant dates for 2010. So it was apt that, last October, he was remembered in his homeland with a festival in

სამშობლოშიც შესაფერისად აღნიშნეს. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: სერგეი ბერეჟნოი და ტატიანა ტერეხოვა მარიას თეატრიდან, სერგეი ფილინი სტანისლავსკის თეატრიდან, მიხაილ მესერერი მიხაილოვსკის თეატრიდან, ალექსეი ფადეეჩევი როსტოვის სახელმწიფო მუსიკალური თეატრიდან. საბალეტო დასების დირექტორები ევროპის თეატრებიდან და კრიტიკოსები მოსკოვიდან, კოპენჰაგენიდან და ლონდონიდან. ისტორიული ადგილების მონახულების (და ქართული კერძების დიდი რაოდენობით გასინჯვის) გარდა ხეების დარგვასა და დიდი მოცეკვავის ხსოვნის საპატივსაცემოდ მისი საფლავის ყვავილების გვირგვინებით შემკობაშიც მივიღეთ მონაწილეობა. საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა ორი წარმოდგენა გამართა – საიუბილეო დღეების გახსნაზე შესრულებული იყო „ლაურენსია“ (რომელსაც სამწუხაროდ კიდევ ერთი, ამჯერად Dancingtimes-ის 100 წლის იუბილეს გამო ვერ დავესწარი), შემდეგ საღამოს კი „დონ კიხოტი“, რომელშიც წამყვანი პარტიები მოსკოვის დიდი თეატრის ახალგაზრდა მიწვეულმა მოცეკვავეებმა – ანასტასია სტაშკევიჩმა და ვიაჩესლავ ლოპატინმა შეასრულეს და ეს კარგად მოახერხეს. ბოლო საღამოს ვარსკვლავებით სავსე გალა წარმოდგენა გაიმართა, სადაც იცეკვეს თამარა როხომ, დავით მახათელმა, ელენე გლურჯიძემ, არიონელ ვარგასმა ლონდონიდან; ანხელ და კარმენ კორელებმა ესპანეთიდან; იგორ ზელენსკიმ, ირმა ნიორაძემ, ანდრეი ერმაკოვმა მარიას თეატრიდან; ნატალია სომოვამ და სემიონ ჩუდინმა სტანისლავსკიდან და დიდი თეატრის ორმა მოცეკვავემ; სახელმწიფო ანსამბლმა „რუსთავმა“ შეასრულა „ხორუმი“ ჭაბუკიანის ბალეტიდან „მთების გული“, საბალეტო დასი წარმოადგინეს ნინო გოგუამ, ვასილ ახმეტელმა და ლალი კანდელაკმა, საღამოს ცენტრალური ნაწილი კი გახდა ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის ნინო ანანიაშვილის მიერ შესრულებული „მომაკვდავი გედი“ და „ლეკური“ – ქართული ცეკვა მამაკაცებისათვის. გალაზე ნაჩვენები იქნა ჭაბუკიანის განმაცვიფრებელი ბრუნვების, ნახტომებისა და პირუეტების კადრები, ისევე, როგორც მისი ძლიერი სამსახიობო თამაში, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ საღამოზე წარმოდგენილმა ვარსკვლავებმა იგივეს ჩვენება მოახერხეს. ყველაზე ახლოს ამის მიღწევასთან ანხელ კორელა მივიდა, მისი სწრაფი ბრუნებითა და ფეხის მუშაობით, ინგლისის ნაციონალური ბალეტის მოცეკვავეებმა კი „მანონის“ პა დე დეს რომანტიკული ხასიათი გადმოსცეს.

ჭაბუკიანი იყო ის ფიგურა, რომლის მიერ დატოვებულმა მემკვიდრეობამ მამაკაცთა საგმირო ცეკვის ხასიათი განსაზღვრა, რამაც თავის მხრივ ის საბალეტო სამყაროს მნიშვნელოვან სახედ გადააქცია. თუმცა რამდენად იცნობენ მას თანამედროვეობის ახალგაზრდა მოცეკვავეები და რისი სწავლა შეუძლიათ მისგან? (YouTube სავსეა მისი განმაცვიფრებელი ცეკვის კადრებით, რომლებიც, იმის მიუხედავად რომ ძველია, მაინც იძლევა მისი ენერგიისა და ცეკვაში ჩართული ენთუზიაზმის ხილვის საშუალებას)

1941 წელს, როდესაც რუსეთში მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა, ის ლენინგრადიდან საქართველოში დაბრუნდა, რაც ბევრმა დიდ შეცდომად ჩაუთვალა. საკუთარი განცხადებით, ჭაბუკიანი

his name. Among the guests invited were Sergei Berezhnoi and Tatiana Terekhova from the Maryinsky, Sergei Filin from Moscow's Stanislavsky Theatre, Mikhail Messerer from the Mikhailovsky, and Alexei Fadeyechev from the Rostov State Musical Theatre. There were directors from European theatres and critics from Moscow, Copenhagen and London. Apart from a lot of sightseeing (and a lot of eating), there were trees to plant and wreaths to lay in memory of the great dancer.

The State Ballet of Georgia offered two performances in celebration – opening night was Chabukiani's Laurencia (which I missed because I was attending another 100th birthday, that of Dancingtimes), and later, Don Quixote in which two young guests from the Bolshoi – Anastasia Stashkevich and Vyacheslav Lopatin - took the lead roles, and danced them very well. In addition, there was a star-studded gala on the final night with guests from London – Tamara Rojo, David Makhateli, Elena Glurdjidze and Arionel Vargas; from Spain – Angel and Carmen Corella; from Russia – Igor Zelensky, Irma Nioradze and Andrei Yermakov from the Maryinsky, Natalia Somova and Semyon Chudin from the Stanislavsky and the two Bolshoi dancers. the Rustavi State Ensemble


Celebrating Chabukiani



პატრიოტული მოტივებით დაბრუნდა. ის გახდა დასის სოლისტი, პედაგოგი, ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში 1973 წლამდე, ქორეოგრაფიული სკოლის ბალეტმაისტერისა და დირექტორის თანამდებობა ეკავა 1950-დან 1973 წლამდე. ორივე თანამდებობის დატოვება მას სკანდალური მოვლენების შემდეგ მოუწია, თუმცა სწორედ იმ პერიოდში შეასრულა მისი უდიდესი პარტიებიდან რამდენიმე – 1957 წელს მის მიერვე დადგმული „ოტელო“ ახლაცაა კადრებზე შემორჩენილი. ხელმძღვანელის პოსტის დატოვების მიუხედავად, აგრძელებდა ახალგაზრდა მოცეკვავეების აღზრდას, ფეხებში მძიმე ტკივილის მიუხედავად. ამ დროს სკამიდან უწევდა მათთვის განმარტებების მიცემა. მას უთვალთვალებდნენ, თავს ესხმოდნენ, უსაფუძვლოდ ადანაშაულებდნენ თეატრის შენობის ხანძარში; უკანასკნელი დღეები მან მარტომ გაატარა, როდესაც არც ისე ბევრი გააჩნდა – განსხვავებით იმ დღეებისაგან, როდესაც მისთვის თეატრში მირთმეული ყვავილების გადასატანად სატვირთო მანქანების დაქირავება ხდებოდა საჭირო. ის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონშია დაკრძალული.

ჭაბუკიანი გენიოსი იყო, შემოქმედებისადმი ბოლომდე დახარჯული ადამიანი. ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მუდმივად ამუშავებდა საკუთარ ფენომენალურ ვირტუოზულობას და სწორედ მისმა მაგალითმა გააჩინა ტექნიკურად გაბედული, რომანტიკული და სრულებით მამაკაცური შემსრულებლები, რომელთაც დღეს მსოფლიოს გარშემო ვხედავთ.

მარგარეტ უილისი და მეიბრიტ ჰელმსბო ფოტოგამოფენის გახსნაზე თბილისის საკონცერტო დარბაზში

Margaret Willis, Majbrit Hjelmsbo at the opening of the photo exhibition in the Tbilisi Concert Hall

appeared in the Khorumi from Chabukiani's The Heart of the Mountains while the State Ballet of Georgia's dancers – Nino Gogua, Vasil Akhmeteli and Lali Kandelaki – performed. The highlight was artistic director Nina Ananiashvili's The Dying Swan and her solo Lekuri, a spirited Georgian dance usually danced by a man. The gala also showed several breath-taking (quite literally) film extracts of the spinning, leaping, pirouetting Chabukiani, and his equally powerful acting skills. It cannot be said that those same mesmerising powers he imparted were greatly in evidence in the performances of the international guest artists – but Angel Corella came closest with his speedy turns and footwork while the two English National Ballet dancers produced romantic fervour in their Manon pas de deux.

It was Chabukiani whose legacy set the seal on bravura male dancing, turning him into a powerful force in the ballet world. Yet how well known is he to young dancers of today, and what can they still learn from him? (YouTube abounds with numerous clips of his incredible dancing, and though old, the films still show the energy, total commitment and enthusiasm he throws into his performances.)

In 1941 when World War II was raging in Russia, Chabukiani returned to Georgia, which some thought misguided. He himself claimed to have moved because of his patriotism. He became soloist, teacher, choreographer and artistic director of the Z. Paliashvili Theatre of Opera and Ballet, where he remained until 1973, and was also ballet master and director of the Choreographic School. Both jobs ended simultaneously when a whiff of scandal spread. However, he danced some of his greatest roles during this time, notably Othello, which he staged in 1957 and which has been captured on film. Though dismissed as director, he continued to teach students – despite having great pain in his legs and feet (he had to sit in a chair and demonstrate everything from there). He was spied on, assaulted on the street, wrongly accused of starting a fire at the opera house, and ended his days alone and with few possessions – a far cry from the days when trucks had to be ordered to carry all the flowers his admirers had brought to the theatre. He is buried at the hillside Mtatsminda Pantheon of Writers and Public Figures that looks down onto central Tbilisi.

Chabukiani was a genius, a man absolutely dedicated to his art. He continually developed his phenomenal virtuosity throughout his long life, and his example has led to the technically daring, intensely romantic, and totally masculine performers we see on stages across the world today.

# ცეკვა ანთებულ ნაკვერჩხალზე

# Dance on Burning Embers

მეიბრიტ ჰელმსბო
**By Majbrit Hjelmsbo**

weekend avisen

*საქართველო ვირტუოზული მოცეკვავისა და ეროვნული სიმბოლოს, ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან ასი წლის იუბილეს აღნიშნავს. ადამიანის, რომელმაც საქართველოს ნაციონალური ბალეტი უმაღლეს დონემდე აიყვანა.*

*Georgia celebrates the centenary of its virtuoso dancer and national icon Vakhtang Chabukiani, the man who elevated the National Ballet of Georgia and turned it into an elite company.*

მას „ცეკვის ფენომენი“ უწოდეს; მთელი ცხოვრების განმავლობაში იგი ცეკვის წმინდა ცეცხლით იყო შთაგონებული; მგზნებარე, გამომხატველი, მამაკაცური და ვირტუოზული! „იუნესკომ“ მისი დაბადებიდან ასი წლის შესრულება 2010 წლის ღირშესანიშნავ მოვლენათა სიაში შეიტანა. ისტორიისა და კულტურისადმი ყურადღების გამომხატველ ქართველებს არ შეეძლოთ, არ აღენიშნათ იუბილე გმირისა, რომელიც ლენინგრადის კიროვის ბალეტში გატარებული ვარსკვლავური კარიერის შემდეგ, თბილისში დაბრუნდა, ქართული საბალეტო დასი უმაღლესი დონის კომპანიად აქცია და მის ბალეტმაისტერად, ქორეოგრაფად, მოცეკვავედ და პედაგოგად მუშაობდა 30 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში.

მისი სახელია ვახტანგ ჭაბუკიანი.

მას წარმოუდგენლად ძლიერი სხეული გააჩნდა და „ოტელოს“ 60 წლის ასაკამდე ასრულებდა. მას შემდეგაც კი, რაც ბალეტის ხელმძღვანელის პოსტის დატოვება მოუხდა, დასთან და სასწავლებელთან კავშირს ინარჩუნებდა. 1979 წელს კი აღადგინა „ლაურენსია“, ბალეტი, რომელიც მის საიუბილეო დღეებზე იქნა წარმოდგენილი, 2007 წელს აღდგენილი ნ. მაღალაშვილის რედაქციით.

„ლაურენსიასთან“ ერთად პროგრამაში პეტიპა/გორსკის „დონ კიხოტი“ (ჭაბუკინის ვარიაციებით) და მსოფლიოში სახელგანთქმული მოცეკვავეების გალა-

He has been called a dance phenomenon! Fired by the holy flame of the dance throughout his life. Passionate, animated, manly and virtuoso! Unesco placed his centenary on its calendar of significant events in 2010, an opportunity the historically and culturally aware Georgians could not overlook without celebrating their national icon who returned to Tbilisi following a glorious star career at the Kirov Ballet in Leningrad: he elevated the National Ballet of Georgia and turned it into an elite company and worked as its dominant creative force as ballet master, choreographer, dancer and teacher for more than 30 years.

His name is Vakhtang Chabukiani.

He had an unbelievably strong body and continued to perform Othello until he reached the age of 60. Even after having been dethroned he stayed in touch with the company and its school and restaged Laurencia in 1979: the ballet was one of the works performed at the Chabukiani Celebration, albeit in a revised version by N. Maghalashvili from 2007.

Apart from Laurencia the festival programme also included Petipa/Gorsky's Don Quixote with the Chabukiani variations and a Gala Performance featuring a parade of internationally acclaimed guest dancers from home and from afar, many of them of Georgian background or with links to the artistic director of the National Ballet of Georgia, Nina Ananiashvili, former prima ballerina of both the Bolshoi Ballet and American Ballet Theatre. As director, Ananiashvili has understood the importance of developing a substantial network of cultural ties between Tbilisi and the rest of the ballet world: a true ambassador of culture.

Taking the title role in Laurencia, lovely Lali Kandelaki started out by playfully slapping her fiery castagnette suitor Frondoso (Vasil Akhmeteli) with her laundry. In act II, she incites the people to battle and rebellion having been deflowered by the Commander. She's a fleeting dancer who bites into her turns and jumps. In fact, the company boasts many good female dancers but few talents among the men. The Bolshoi dancers Anastasia Stashkevich and Vyacheslav Lopatin took the leads in Don Quixote. She is an exceptionally flexible and light dancer who aims for maximum effect. He is a fast turner and airy jumper, effortless and with a pure sense of style.


Weekendavisen Kultur # 44 5. november 2010 9

**Ballet.** Georgien fejrer 100-året for fødslen af nationalikonet og virtuosdanseren Vakhtang Chabukiani, der løftede Den Georgiske Statsballet op i eliten.

# Dans på gløder

AF MAJBRIT HJELMSBO

Legenden Vakhtang Chabukiani i Laurencia.

Lali Kandelaki og Vasil Akhmeteli i Laurencia.

**Meta.** Tidens rockmusikere skriver om at skrive sange og indspiller nye sange oven på eksisterende grundformer.

კონცერტი იყო წარმოდგენილი, რომლებიც როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მოღვაწეობენ. ამ უკანასკნელთა შორის ბევრს აერთიანებს როგორც ქართული წარმომავლობა, ისე ახლო კავშირი საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელთან და დიდი თეატრისა და ამერიკის საბალეტო თეატრის ყოფილ პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილთან. ხელმძღვანელის როლში ანანიაშვილმა აჩვენა, თუ რამდენად კარგად ესმის თბილისსა და დანარჩენ საბალეტო სამყაროს შორის კულტურული კავშირების განვითარება – ეს კულტურის ნამდვილი ელჩის თვისებაა.

„ლაურენსიას" პარტიაში მომხიბვლელმა ლალი კანდელაკმა ამ პარტიის შესრულება კასტანიეტებიან პარტნიორ ფრონდოსოსთან (ვასილ ახმეტელი) თამაშით დაიწყო. მეორე მოქმედებაში ის აჯანყების სულისჩამდგმელიც ხდება. ის სწრაფი შემსრულებელია, აქცენტით ბრუნებსა და ნახტომებზე. უნდა აღინიშნოს, რომ დასის შემადგენლობაში მრავალი კარგი ბალერინაა, მამაკაცების დონის მხრივ კი პრობლემებია. „დონ კიხოტში" წამყვანი პარტიები მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტებმა ანასტასია სტაშკევიჩმა და ვიაჩესლავ ლოპატინმა შეასრულეს. სტაშკევიჩი განსაკუთრებულად მოქნილი და მსუბუქი მოცეკვავეა და მაქსიმალური ეფექტის მოხდენას ცდილობს, ლოპატინი კი სწრაფ ბრუნებსა და ჰაეროვან ნახტომს ფლობს ზედმეტი ძალისხმევის გარეშე.

ქართველმა ვარსკვლავმა ვასილ ახმეტელმა „მთების გულის" ადაჟიოში გრაციოზული ნინო გოგუას თავს ზემოთ ერთი ხელით აწევით განსაკუთრებული ეფექტი მოახდინა, რასაც მეომართა მშვენიერი ცეკვა „ხორუმი" მოჰყვა – ეს ჯაჭვური ცეკვაა, რომელიც ქართულ ფოლკლორში იღებს სათავეს. ბავშვთა ანსამბლი „შეჯიბრის" ოთხმა ყმაწვილმა ვირტუოზული სახასიათო შესრულება შემოგვთავაზა თვალისმომჭრელი ორმაგი ბრუნებითა და სისწრაფით.

განწყობისათვის თვით ნინო ანანიაშვილმაც კი მამაკაცის ტრადიციული კოსტიუმი მოირგო და „ლეკური" შეასრულა შავ პუანტებზე. მანამდე მან „მომაკვდავი გედი" იცეკვა ტალღოვანი და მსუბუქი მკლავებით.



გალა-კონცერტის ბოლოს
At the end of the gala evening

საინტერესოა, რომ მოწვეულ შემსრულებელთა შორის ყველაზე დიდი ოვაცია არა კლასიკურმა საბალეტო ვირტუოზულმა ნომრებმა, არამედ ესპანელი და-ძმა კარმენ და ანხელ კორელების მიერ ფლამენკოს მოტივებზე შესრულებულმა მარია პაჟეს დადგმამ დაიმსახურა, რომელიც ტემპერამენტსა და ემოციას ასხივებდა. მანამდე ახალგაზრდულმა ელენე გლურჯიძემ და არიონელ ვარგასმა ინგლისის ნაციონალური ბალეტიდან მაკმილანის „მანონში“ წარმოდგენილი სასიყვარულო პა დე დეთი დაიმსახურეს მოწონება.

ქართველი მაყურებლის აღტაცებას კვლავაც ნაპერწკლები, ნაკვერჩხალი და ცეკვის ცეცხლი იწვევს და ალბათ ეს ფაქტი ბედნიერების წყაროა ჭაბუკიანისათვის. ვახტანგ ჭაბუკიანი 1992 წელს, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**დანიურიდან ინგლისურად თარგმანი ალექსანდერ მეინერცისა**

The local star Vasil Akhmeteli pulled a trump card when he ran across the stage lifting the gracious Nino Gogua high above his head in one arm in the Adagio from Heart of the Mountains, followed by the warriors' handsome Khorumi, a chain dance rooted in Georgian folklore. Four small boys from the children's troupe Shejibri gave us virtuoso character dancing at full blast, landing on the top of their toes, shooting off into double turns in the air and on their knees moving across the stage at such an exhilarating speed that they rivalled Disney's wild Cossacks in Pinocchio's toy theatre.

And for the fun of it even Nina Ananiashvili put on a traditional men's suit, performing a toe hammering Lekuri in black pointe shoes, having interpreted The Dying Swan with rippling, soft swan arms before that.

Among the guest performers, interestingly it wasn't the classical virtuoso acts that took home the biggest audience applause of the evening: it was the Spanish sister and brother Carmen and Angel Corella's performance of a flamenco inspired work by María Pagés, exuding temper, juice and power. Earlier the youthful Elena Glurdjidze and Arionel Vargas from English National Ballet won favours in the big love pas de deux from MacMillans Manon.

It is still the sparks and burning fires of the dance and the heart that turn on the Georgian ballet audiences. And that is probably a source of joy for the old Chabukiani in his ballet heaven. Vakhtang Chabukiani died in 1992, at the age of 82.

**Danish to English translation by Alexander Meinertz**





24 ოქტომბერს „თბილისი ივენთ ჰოლში" ვახტანგ ჭაბუკიანის საიუბილეო მიღება გაიმართა.













1. ნინო ანანიაშვილი; Nina Ananiashvili. 2. ტატიანა კუზნეცოვა, დავით მახათელი, ნინო ანანიაშვილი, პოლ კიურანი, თამარა როხო, ენტონი რასელ რობერტსი; Tatyana Kuznetsova, David Makhateli, Nina Ananiashvili, Paul Curran, Tamara Rojo, Anthony Russell-Roberts. 3. ფრენკ ანდერსენი, ნინო ანანიაშვილი, სერგეი ფილინი და ელენე ვაშაძე; Frank Andersen, Nina Ananiashvili, Sergei Filin, Elene Vashadze. 4. გალა-კონცერტის მონაწილე ბალეტის ვარსკვლავები; Stars of the gala evening. 5. კონცერტის დროს; During the concert. 6. სემიონ ჩუდინი, დავით მახათელი, სერგეი ფილინი, ნატალია სომოვა; Semyon Chudin, David Makhateli, Sergei Filin, Natalia Somova. 7. ნინო გოგუა, თამარა როხო, ლანა მღებრიშვილი; Nino Gogua, Tamara Rojo, Lana Mghebrishvili; 8. ლალი კანდელაკი და ანხელ კორელა;Lali Kandelaki, Angel Corella. 9. ირმა ნიორაძე და ნინო ანანიაშვილი; Irma Nioradze and Nina Ananiashvili. 10. სხედან: დავით საყვარელიძე, ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, მარინა პაპიაშვილი. დგანან: ზაალ ჩიქობავა, თამარ მოდებაძე, ტატიანა ტერეხოვა, ნინო ანანიაშვილი, კაროლინა ლორკა; Seated: David Sakvarelidze, Nani Bregvadze, Eka Mamaladze, Marina Papiashvili. Standing: Zaal Chikobava, Tamar Modebadze, Tatiana Terekhova, Nina Ananiashvili, Caroline Llorca. 11. თითების თეატრი; The Finger Theatre. 12. სემიონ ჩუდინი, ანასტასია სტაშკევიჩი, ანხელ კორელა, ანა მურადელი, ვიაჩესლავ ლოპატინი; Semyon Chudin, Anastasia Stashkevich, Angel Corella, Ana Muradeli, Vyacheslav Lopatin. 13. ტატიანა ტერეხოვა და ალექსეი ფადეეჩევი;
















**Tbilisi Event Hall hosted the Vakhtang Chabukiani anniversary reception on October 24.**

























Tatyana Terekhova and Alexei Fadeechev. 14. ირმა ნიორაძე და იგორ ზელენსკი; Irma Nioradze, Igor Zelensky. 15. ნინო ანანიაშვილი და ელენე გლურჯიძე საქართველოში იაპონიის ელჩთან მასაიოში კამუჰარასთან და მის მეუღლესთან ჯუნკო კამუჰარასთან ერთად; Nina Ananiashvili and Elena Glurdjidze with the H.E. Mr. Masayoshi Kamohara, the Ambassador of Japan to Georgia and his spouse Mrs. Junko Kamohara. 16. ელენე გლურჯიძე და ფრენკ ანდერსენი; Elena Glurdjidze, Frank Andersen. 17. ევა კლობორგი, ნინო ანანიაშვილი და ფრენკ ანდერსენი; Eva Kloborg, Nina Ananiashvili, Frank Andersen. 18. ანხელ კორელა და ნინო ანანიაშვილი; Angel Corella, Nina Ananiashvili. 19. ირმა ნიორაძე, ანდრეი ერმაკოვი და ზაალ ჩიქობავა; Irma Nioradze, Andrei Yermakov, Zaal Chikobava. 20. ევა კლობორგი, ვასილ ახმეტელი და ფრენკ ანდერსენი; Eva Kloborg, Vasil Akhmeteli, Frank Andersen. 21. ანსამბლ „შეჯიბრის" სოლისტი; Soloist of the Shejibri ensemble. 22. მერილის გონზაგა, კარმენ კორელა, მარიამ ერისთავი, ნინო ანანიაშვილი და ანხელ კორელა; Marylis Sevilla-Gonzaga, Carmen Corella, Mariam Eristavi, Nina Ananiashvili and Angel Corella. 23. ენტონი რასელ რობერტსი და თამარა როხო; Anthony Russell-Roberts, Tamara Rojo. 24. გალა-კონცერტის ქართველი და უცხოელი მონაწილეები; Georgian and foreign participants of the gala evening.

## ნინო გოგუა რუდოლფ ნურიევის ხსოვნისადმი მიძღვნილ გალაზე

2010 წლის 13 სექტემბერს ათენის ჰეროდე ატიკუსის სახელობის თეატრში რუდოლფ ნურიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო გალა კონცერტი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის დიდი თეატრის, სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრის, ბავარიის, პარიზის ოპერის, ინგლისის ნაციონალური და სამეფო, ბერლინის სახელმწიფო საბალეტო დასების ვარსკვლავები. საღამოზე შესრულდა დივერტისმენტები ბალეტებიდან „ბაიადერა“, „მძინარე მზეთუნახავი“, „რაიმონდა“, „ელეგია“, “L'Arlesienne”, “El Cisne” „მანონი“, “Arepo”, „ტაისი“, „სილფიდა“ და „დონ კიხოტი“.



საქართველოს სახელმწიფო ბალეტიდან საღამოში მონაწილეობა დასის წამყვანმა სოლისტმა ნინო გოგუამ მიიღო, რომელმაც კოვენტ გარდენის პრემიერთან ივან პუტროვთან ერთად შეასრულა პა დე დე ბალეტიდან „სილფიდა“.

## Nino Gogua in the gala event dedicated to the memory of Rudolf Nureyev

On September 13, 2010 the Herod Atticus Theatre of Athens hosted an international ballet gala dedicated to the memory of Rudolf Nureyev. Taking part in the evening were stars from the Bolshoi Ballet of Moscow, Mariinsky Theatre of St. Petersburg, state ballet companies of Bavaria, Berlin and Paris Opera, English National Ballet and the Royal Ballet. The evening presented the audience with the divertissements from the ballets *La Bayadere, The Sleeping Beauty, Raymonda, Elegie, L'Arlesienne, El Cisne, Manon, Arepo, Thais, La Sylphide, Don Quixote.*

Nino Gogua, leading soloist of the State Ballet of Georgia took part in the event, performing in *La Sylphide* alongside Ivan Putrov, principal of the Royal Ballet of Covent Garden.

## ლალი კანდელაკი და ვასილ ახმეტელი უნგრეთსა და სლოვაკეთში



გალა-კონცერტი 2010 წლის 23 სექტემბერს, ბრატისლავაში, სლოვაკეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის, ივეტა რადიცოვას პატრონაჟით ჩატარდა, ბუდაპეშტში კი გალა-კონცერტი 25 სექტემბერს გაიმართა. ეს ტრადიციული და პრესტიჟული ღინისძიება სლოვაკეთის ნაციონალური თეატრისა და ბუდაპეშტის „მსოფლიო ვარსკვლავთა საბალეტო გალას“ თანამშრომლობით მოეწყო. ლალი კანდელაკმა და ვასილ ახმეტელმა იცეკვეს პა დე დე ლ. მინკუსის „დონ კიხოტიდან“ და საბალეტო მინიატურა „ტანგოს ნაცვლად“ (გ. ყანჩელის მუსიკა. გ. ალექსიძის ქორეოგრაფია).

## Lali Kandelaki and Vasil Akhmeteli in ballet galas in Hungary and Slovakia

The traditional and prestigious event took place in cooperation between the Slovak National Theatre Ballet and the World Stars Ballet Gala from Budapest. The first event is under the auspices of Iveta Radicová, Prime Minister of the Slovak Republic, and took place on September 23 in Bratislava; The event in Budapest was presented on September 25. Lali Kandelaki and Vasil Akhmeteli danced the pas de deux from L. Minkus' ballet *Don Quixote* and the miniature *Instead of a Tango* (music by G. Kancheli, choreography by G. Aleksidze).

## რაისა სტრუჩკოვას ხსოვნას მიეძღვნა

2010 წლის 13 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე „გედების ტბა“ იქნა წარმოდგენილი. სპექტაკლი საქველმოქმედო იყო და ნინო ანანიაშვილის ფონდის ეგიდით წარიმართა. შემოსული თანხა 2 წლის ნიკოლოზი ვაშაკიძის დახმარების ფონდში გადაირიცხა, რომელსაც სასწრაფო მკურნალობა ესაჭიროება. მთავარი პარტიები სპექტაკლში ნინო ანანიაშვილმა და ვასილ ახმეტელმა შეასრულეს. სპექტაკლი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ნინო ანანიაშვილმა იგი საკუთარი პედაგოგის, დიდი რუსი ბალერინას რაისა ლაფაური-სტრუჩკოვას ხსოვნას მიუძღვნა. სპექტაკლის დაწყების წინ მაყურებელმა ნახა სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებული ვიდეო კლიპი რაისა სტრუჩკოვას შესახებ.

## Dedicated to the memory of Raisa Struchkova

On December 13, 2010 *Swan Lake* was performed at the Rustaveli Theatre. The charity evening was presented by the Nina Ananiashvili Foundation, and proceedings were transferred to the Nikoloz Vashakidze Fund for providing urgent medical treatment to the 2-year old. The principal roles were performed by Nina Ananiashvili and Vasil Akhmeteli. The evening was also significant for Nina Ananiashvili dedicating it to the memory of her pedagogue and great Russian ballerina Raisa Lapauri-Struchkova. A special video footage about Struchkova was presented to the audience prior to the performance.

## ნინო ანანიაშვილი და ვასილ ახმეტელი მინსკში

2010 წლის 16 დეკემბერს ნინო ანანიაშვილი და ვასილ ახმეტელი მინსკში გასტროლზე იმყოფებოდნენ. ბელორუსის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური სახელმწიფო თეატრის სცენაზე მათ პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბაში“ მთავარი პარტიები იცეკვეს.

## Nina Ananniashvili and Vasil Akhmeteli in Minsk

On December 16, 2010 Nina Ananiashvili and Vasil Akhmeteli toured Minsk, dancing *Swan Lake* at the National Academic Bolshoi Opera and Ballet Theatre of the Republic of Belarus.

## ლალი კანდელაკი რიგაში ბალეტის ვარსკვლავების გალა-კონცერტში მონაწილეობდა

2011 წლის 21 თებერვალს, ქალაქ რიგაში, ლატვიის ნაციონალურ ოპერის თეატრში ბალეტის ვასკვლავების გალა-კონცერტი – E'toile Ballet gala გაიმართა. კომპანია ''ART Fortes'' პირველ საბალეტო პროექტში ბერლინის სახელმწიფო ბალეტის, პარიზის გრანდ ოპერის, პარიზის ნაციონალური თეატრის, უნგრეთის სახელმწიფო ოპერის თეატრის ბალეტის ვარსკვლავები მონაწილეობდნენ. გალა-კონცერტში მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო ბალეტის წამყვანი სოლისტი ლალი კანდელაკი, რომელმაც აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის პრემიერთან ულვი აზიზოვთან ერთად იცეკვა პა დე დე ლ. მინკუსის ბალეტიდან „დონ კიხოტი“.



## Lali Kandelaki took part in the Riga ballet stars gala

On February 21, 2011 in Riga the Latvian National Opera hosted Etoile Ballet Gala. This first ballet project by the ART Fortes company featured stars of the Berlin State Ballet, Paris Grand Opera, Paris National Theatre, Hungarian State Opera House. Taking part in the event was Lali Kandelaki, leading soloist of the State Ballet of Georgia. Alongside Ulvi Azizov, principal of the Azerbaijan State Academic Opera and Ballet Theatre, she performed the pas de deux from *Don Quixote* by L. Minkus.

## საახალწლო კონცერტი ბათუმში

31 დეკემბერს საბალეტო დასი ბათუმში, ერას მოედანზე, ტრადიციულ საახალწლო კონცერტში მონაწილეობდა. ცნობილი იტალიელი ტენორის ანდრია ბოჩელის მიერ შესრულებულ ერთ-ერთ სიმღერაზე „ლოცვა“ პრიმა-ბალერინა ნინო ანანიშვილმა და დასის მოცეკვავეებმა ქორეოგრაფიული სურათი წარმოადგინეს (დამდგმელი ქორეოგრაფი ა. ფადეეჩევი).

## New Year's Eve concert in Batumi

On December 31 the company participated in the New Year's Eve concert on the Era Square in Batumi. The Prima Ballerina Nina Ananiashvili and the dancers of the company presented a choreographic number on the song *The Prayer* performed by well-known Italian tenor Andrea Bocelli (staging choreographer A. Fadeechev).



## გია მარღანია:

# „პროფესიით ქორეოგრაფი ვარ, ვაზროვნებ როგორც რეჟისორი“

## Gia Marghania:

# „I am a choreographer by profession, and think like a director”

ნინო მდევაძე
**Nino Mdevadze**

**ბავშვობაში მეგობრებთან ერთად წარმოდგენებს მართავდა და თავად ანაწილებდა როლებს. პროფესიით მუსიკოსმა დეიდამ მშობლებს ურჩია შვილი ბალეტზე მიეყვანათ, ცეკვითა და მსახიობობით გატაცებულ, შოკოლადზე შეყვარებულ ბიჭს კი „საიდუმლო გაუმხილეს“ – საბალეტო სკოლის მოსწავლეებს ყოველ გაკვეთილზე შოკოლადით უმასპინძლდებიანო. ეს საკმარისი სატყუარა აღმოჩნდა, რადგან გემრიელი ნუგბარი გია მარღანიას დღესაც ძალიან უყვარს:**

**In his childhood he presented performances alongside his friends, distributing roles himself. His aunt – musician by profession – advised the parents to take their child to the ballet. The boy was interested in dancing and acting, while chocolate was a great attraction for him, so he was “shared a secret” that the ballet students were awarded chocolates at each lesson. This proved enough of a tease, and Gia Marghania still loves the sweets:**

„ასე ჩავირიცხე საბალეტო სტუდიის მოსამზადებელ კურსებზე, რაც ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მოსახვედრად პირველი და აუცი-ლებელი ნაბიჯი იყო. კარგად მახსოვს პირველი როლი – „ექიმ აიბოლიტში“ პატარა მაიმუნს ვასრულებდი, მერე „დონ კიხოტშიც“ ვმონაწილეობდი. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში წარჩინებული მოსწავლე ვიყავი. ნამდვილი ღვთის წყალობა მერგო – ჭაბუკიანის კლასში ვმეცადინეობდი. ვახტანგ ჭაბუკიანმა სასწავლებლის რეპერტუარის რამდენიმე სპექტაკლში მთავარი პარტიები ჩემთვის დადგა. გამოსაშვები საღამოსათვის შეკრებილ ვაჟთა ჯგუფს ჭაბუკიანმა ოსკარ უაილდის „ბულბული და ვარდის“ მიხედვით ორმოქმედებიანი

This is how I was enrolled in the preparatory courses for the ballet studio, the first and essential step for being enlisted at the choreographic school. I still remember my first role – that of the little monkey in *Doctor Aybolit* – before taking part in *Don Quixote*. I was considered a distinguished pupil at the choreographic school, and was lucky enough to study in the class of Chabukiani. He staged several principal roles for me from the repertory of the school, including the two-act *The Nightingale* and *The Rose* based on the short story of the same name by Oscar Wilde, where I performed the leading role.

The stage of the Opera Theatre was my beloved place since the school years, performing solo roles in ballets by George Aleksidze in the 1st year of studying. Although my main interest was directing the ballet. Having witnessed Vakhtang Chabukiani's staging work, as well as his lessons and rehearsals since my childhood, this knowledge layered itself in me.

**The choreographic school was followed by the work at the Opera and Ballet Theatre. The 6 years spent at the theatre were totally different. He was entrusted with performing 13 leading roles in the first four months, absorbing everything quickly thanks to his good memory, although besides success there was pain too – a dissapointing break he still does not enjoy recalling. Although his creative nature did not let him despair – he continued his studying at the Moscow State Institute of Theatrical Art, where his next success began.**

I received the degree of ballet director, and worked at the Bolshoi Theatre alongside great masters like Ilse Liepa, Andris Liepa, Yuri Possokhov and Nadia Pavlova. Unfortunately I did not get the chance to work with Nina Ananiashvili, as her partnership plan was prepared for years ahead, although I never gave up. It is still my dream to see Nina perform the Medea role.

**Returning to Georgia, the choreographer and director received an invitation from the Rustaveli State Theatre. A choreographic sketch was needed for *Emergency Room N.6* by David Anghuladze, and Gia Marghania believes this work gave him a lot of pleasure with some significant experience.**

My next work at the drama theatre was *The Christmas Dream* by Levan Tsuladze and Otar Egadze. Robert Sturua soon joined this young group and as it happens – quite rarely it has to be noted – the creative life began to flourish. Now my artistic biography includes 160 choreographic decorations for performances at the drama theatre. Currently I am working on *Decameron* by Levan Tsuladze at the Marjanishvili Theatre.

The drama theatre had a great impact on me. I think as a director and am a choreographer by profession. Vakhtang Chabukiani is a remarkable impression I have from my childhood, while later Robert Sturua was a new wonder for me. I know exactly what I have to give to, and expect later from the dancer, while you can not demand the same from a drama

ბალეტი დაუდგა, სადაც წამყვან პარტიას ვასრულებდი.

ოპერის თეატრის  სცენა ჯერ კიდევ სასწავლებლის წლებიდან გახდა ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადგილი. პირველი კურსის სტუდენტი გიორგი ალექსიძის ბალეტებში სოლო პარტიებს ვცეკვავდი. მაგრამ ჩემი მთავარი ინტერესი მაინც ბალეტის რეჟისურა იყო. ბავშვობიდან ვუყურებდი როგორ დგამდა სპექტაკლებს, როგორ ატარებდა გაკვეთილებსა და რეპეტიციებს ვახტანგ ჭაბუკიანი. ეს შთაბეჭდილებები თანდათან ილექებოდა ჩემს ცნობიერებაში...“

ქორეოგრაფიული სასწავლებლის შემდეგ იყო ოპერისა და ბალეტის თეატრი. იქ გატარებული 6 წელი არაფრით ჰგავდა ერთმანეთს, პირველი ოთხი თვის განმავლობაში 13 წამყვანი პარტია მიანდეს. კარგი მეხსიერების წყალობით მალე ითვისებდა ყველაფერს, მაგრამ წარმატების კვალდაკვალ იყო გულისტკივილიც... არასასიამოვნო პაუზა, რომლის გახსენება დღესაც უჭირს გია მარღანიას. მაგრამ შემოქმედი ადამიანის მოუსვენარი ბუნების წყალობით სასოწარკვეთას არ მისცემია. სწავლა მოსკოვის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში გააგრძელა და შემდგომი წარმატების  ეტაპი სწორედ აქ დაიწყო.

ბალეტის რეჟისორის უმაღლესი განათლება მივიღე. დიდი თეატრის სცენაზე მუშაობა მომიწია ისეთ  სახელოვან მოცეკვავეებთან როგორებიც არიან ილზე ლიეპა, ანდრის ლიეპა, იური პოსოხოვი და ნადია პავლოვა. დიდი სურვილის მიუხედავად ვერ შევძელი ნინო ანანიაშვილთან მუშაობა, რადგან ნინოს რამდენიმე წელი უკვე წინასწარ ჰქონდა გაწერილი. მაგრამ იმედს არ ვკარგავდი. ჩემი ოცნება ნინო ანანიაშვილი მედეას როლში ვიხილო, ჯერჯერობით ოცნებად რჩება.

საქართველოში დაბრუნებული ქორეოგრაფი და რეჟისორი საინტერესო მიწვევას იღებს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან. რეჟისორ დავით ანდღულაძის სპექტაკლში „პალატა №6“ ქორეოგრაფიული მონახაზი იყო საჭირო. გია მარღანია მიწვევას დათანხმდა და დღევანდელი გადასახედიდან თვლის, რომ არა მარტო სიამოვნება, დიდი გამოცდილებაც მიიღო.

„ჩემი შემდეგი ნამუშევარი დრამატულ თეატრში ლევან წულაძისა და ოთარ ეგაძის „საშობაო სიზმარში" იყო. ახალგაზრდული ჯგუფის მუშაობაში მალე რობერტ სტურუაც ჩაერთო და როგორც იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე, შემოქმედებითი ცხოვრებაც ძალიან წარმატებულად აეწყო. დღეს ჩემს შემოქმედებით ბიოგრაფიაში დრამატულ თეატრში ქორეოგრაფიულად გაფორმებული 160 სპექტაკლია. ახლა მარჯანიშვილის თეატრში ლევან წულაძის „დეკამერონზე" ვმუშაობ.

დრამატულმა თეატრმა ჩემზე უდიდესი გავლენა იქონია. ვაზროვნებ როგორც რეჟისორი და პროფესიით ვარ ქორეოგრაფი. ვახტანგ ჭაბუკიანი ბავშვობაში მიღებული არაჩვეულებრივი შთაბეჭდილებაა, შემდგომი ცხოვრების ნამდვილ სასწაულად რობერტ სტურუას მივიჩნევ. ბალეტში ზუსტად ვიცი, რა უნდა მივცე და შემდეგ მოვთხოვო მოცეკვავეს. დრამატულ მსახიობს ამდენს ვერ მოსთხოვ. მას მე ვასწავლი, როგორ დაახმაროს პლასტიკა საკუთარ სათქმელს.

ამასობაში 19 წელი გავიდა. როდესაც ნინო ანანიაშვილი საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა, შემომთავაზა ქორეოგრაფიული სასწავლებლის გამოსაშვები საღამო წლების წინ ჩემ მიერ პერმში განხორციელებული პროგრამის მიხედვით დამედგა. ახლოვდებოდა ვახტანგ ჭაბუკიანის 95 წლის იუბილე. მადლიერების ნიშნად პირველი განყოფილება ვახტანგ ჭაბუკიანის, მეორე კი ჩემი ქორეოგრაფიული ნამუშევრების მიხედვით დავდგი".

**ჭაბუკიანის 100 წლის იუბილისთვის ნინო ანანიაშვილისაგან ახალი შეთავაზება მიიღო. გალა-კონცერტზე პრიმა-ბალერინამ იმ ლეკურის შესრულება გადაწყვიტა, რომლის პატარა ისტორიასაც ქვემოთ გიამბობთ:**

„გასული საუკუნის 40- იან წლებში ლენინგრადში ტატიანა ვეჩესლოვას ჭაბუკიანმა ცეკვა ლეკური დაუდგა. სამწუხაროდ ჩანაწერი არ არსებობს, მხოლოდ ერთი ფოტოა შემონახული – ვეჩესლოვა ჩოხითა და აზიურებით. ნომერი იმდენად ეფექტური იყო, რომ პოპულარობა მალე მოიპოვა. მოგვიანებით ლეკური მოსკოვში მარინა სემიონოვამ შეასრულა. მან სთხოვა ჭაბუკიანს იგი მის რეპერტუარში ყოფილიყო. ცალკეული დეტალების შესასწავლად ბალერინა თბილისში ნინო რამიშვილთანაც კი ჩამოსულა. მას შემდეგ ათეული წლები გავიდა. ქალბატონ მარინას, სტუდენტობის წლებში, ჩემთვის ხშირად უთქვამს – დაუდგი ეს ცეკვა ნინო ანანიაშვილს. სემიონოვას თავად ნინო ანანიაშვილისთვისაც არაერთხელ მიუმართავს თხოვნით ეცეკვა ლეკური. ჩემი და პრიმა-ბალერინას შემოქმედებითი ტანდემი აქ შედგა. ამას ისიც დაემთხვა, რომ ერთ-ერთმა ჟურნალმა ნინო ქართული ტრადიციული სამოსის პროექტზე მიიწვია და თეთრი ჩოხა შეუკერა. ეს მომენტიც ხელიდან არ გავუშვით. დრო ძალიან ცოტა გვქონდა. წლების შემდეგ ვიქტორ დოლიძის უკვდავ მელოდიაზე ნინო ანანიაშვილი თეთრი ჩოხით პუანტებზე დადგა და ლეკურის საუცხოო შესრულებით აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი".

**გასული სეზონი ბალეტში მუშაობით დატვირთული და საინტერესო აღმოჩნდა. ალექსეი ფადეეჩევმა „მაკნატუნას" ახალი რედაქცია დადგა ჩვენს დასთან. სპექტაკლში თოჯინების ცეკვების დადგმა გია მარღანიას მიანდეს.**

„სტუდენტობის წლებში ჩემი სასცენო დებიუტი სწორედ ამ ბალეტს უკავშირდება. ფრანგულ თოჯინას ვცეკვავდი. ალექსეი ფადეეჩევის „მაკნატუნაში" თოჯინების პარტიების დადგმა ნინო ანანიაშვილმა და ალექსეი ფადეეჩევმა მე მომანდეს. ქორეოგრაფს დრო ძალიან ცოტა ჰქონდა. სიამოვნებით მივიღე ეს შეთავაზება. ახალ სპექტაკლში, რომლის პრემიერა 25 დეკემბერს გაიმართა, ფრანგული, ჩინური, რუსული და ესპანური თოჯინების გვერდით ქართული იავნანას მელოდიაზე სამაია დავდგი. მთელ მსოფლიოში, სადაც ეს ბალეტი იდგმება, იმ თოჯინის ცეკვა, რომელსაც ბალეტის პარტიტურაში „ყავა" ჰქვია და ქართული იავნანას მელოდიის მიხედვით აქვს შექმნილი გენიალურ ჩაიკოვსკის, ან გროტესკულადაა გადაწყვეტილი ან აღმოსავლურ სტილში. მე პირველი ქორეოგრაფი ვარ ვინც ამ მელოდიაზე ქართული სამაია დავდგი. ძველ ქართულ კოსტიუმებში სამი ბალერინა ასრულებს ამ ცეკვას. ეს სამუშაო იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ საბალეტო დასთან მომიწია უშუალო შეხება. მიმაჩნია, რომ ასეთ ფორმაში ჩვენი დასი ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში არ ყოფილა. თუმცა მათთან ერთხელ კიდევ მქონდა მუშაობის საშუალება. 2007 წელს იაპონიაში ქართული ბალეტის გასტროლების დასკვნითი სპექტაკლისთვის ქალბატონი ნინოს თხოვნით გავაკეთე კინტაური ვახტანგ კახიძის მუსიკაზე. ტოკიოში ამ ცეკვით დაიხურა საბალეტო დასის წარმატებული გასტროლი. ოცნებად მაქვს გავაკეთო პროექტი „ქართული ცეკვა პუანტებზე".

actor. I can teach them how to use plastics in whatever they have to say.

Meanwhile, 19 years passed. When Nina Ananiashvili was appointed artistic director of the ballet company, she invited me to stage the graduation evening of the choreographic school according to a program I had staged in Perm. Vakhtang Chabukiani's 95th anniversary was nearing, so I paid a tribute to him by staging the first act on his choreographic work, while the second was my own.

**He received a new invitation from Nina Ananiashvili for the 100 years anniversary of the birth of Chabukiani. The Prima Ballerina had decided to perform *Lekuri* on the gala. Here is the short story of that piece:**

In 1940ies Chabukiani staged *Lekuri* in Leningrad for Tatiana Vecheslova. Unfortunately there is no recording left of that occasion, just one photograph depicting Vecheslova in the Chokha and Asian boots. The piece was so effective that it soon became very popular, and was later performed by Marina Semenova in Moscow. She also asked Chabukiani to have it in the repertory, and visited Nina Ramishvili in Tbilisi to master particular details of the dance. Decades passed since then, and Semenova had told me several times to stage this number for Nina Ananiashvili, while also asking her to perform it. Another coinscidence was a project of one of the magazines where a Chokha was prepared for Nina, so it was a perfect time for the artistic collaboration. We had very little time to do it. This time Nina Ananiashvili appeared in this unforgettable melody by Viktor Dolidze, in the white Chokha and pointes, and impressed the audience.

**The past season proved to be quite busy and exciting with a collaboration with the ballet company. Alexei Fadeechev staged the new redaction of *The Nutcracker* and Gia Marghania was again entrusted with staging the doll dances.**

My stage debut is closely tied to this ballet – I performed the French doll part. In *The Nutcracker* by Alexei Fadeechev, I was tasked by Nina Ananiashvili and Mr. Fadeechev with staging the doll dances. The choreographer had little time. I accepted this invitation with delight and in the new production that debuted on December 25, alongside the French, Chinese, Russian and Spanish dolls I staged the *Samaya* on the Georgian score. The dance titled as "Coffee" and featuring the Georgian *Iavnana melodies* included by Tchaikovsky is usually performed in either a grotesque or oriental style. I decided to stage the Georgian *Samaya* on it, performed by three ballerinas in traditional costumes. This work was also important as I had close contact with the State Ballet of Georgia – I believe that this company is in its best shape in thirty years. I also had a collaboration with them in 2007, when after a request by Nina Ananiashvili I staged the *Kintauri* on score by Vakhtang Kakhidze that rounded off the company's tour to Japan in Tokyo. My dream is to create a project of The Georgian Dance on Pointes.



ნინო ანანიაშვილი. ლეკური
Nina Ananiashvili. Lekuri



ანა მურადელი, იგორ არტამონოვი. „მოცარტიანა“
Ana Muradeli, Igor Artamonov *Mozartiana*

2010 წლის 20 ოქტომბერს ა. კრეინის „ლაურენსიაში“ მენგოს პარტია იცეკვა ჩელიაბინსკის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა ალექ-სანდრე ცვარიანმა. კასტანიეტებით ცეკვაში პირველი გამოსვლა ჰქონდა უილიამ პრატს. 22 ოქტომბერს „დონ კიხოტში“ მთავარი პარტიები იცეკვეს მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტებმა ანასტასია სტაშკევიჩმა და ვიაჩესლავ ლოპატინმა. სპექტაკლები რუსთავე-ლის სახელობის თეატრში გაიმართა და ჭაბუკიანის იუბილეს მიეძღვნა.

On October 20, 2010 the role of Mengo in A. Krein's *Laurencia* was performed by Alexander Tsvariani, soloist of the Chelyabinsk Opera and Ballet Theatre, while William Pratt had the debut performance in the dance with the castanets. The principal roles in the *Don Quixote* performance of October 22 were danced by soloists of the Bolshoi Theatre of Moscow Anastasia Stashkevich and Vyacheslav Lopatin. The events took place at the Rustaveli Theatre and were dedicated to the centenary of Chabukiani's birth.

საბალეტო დასის ხელმძღვანელად 2011 წლის იანვრიდან ლალი კანდელაკი დაინიშნა.

Lali Kandelaki has been appointed manager of the ballet company from January 2011.

2010 წლის 11-12 დეკემბერს პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბა“ თბილისი არტ ჰოლში იქნა წარმოდგენილი. ანა მურადელს 11 დეკემბერს პარტნიორობას მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი კარიმ აბდულინი უწევდა. ამ სპექტაკლებში დებიუტი ჰქონდათ: ფილიპე სოლანოს (პა დე ტრუა, ნეაპოლიტანური ცეკვა), ლიკა ლაბაძეს, გიორგი მშვენიერაძეს, ნიკა ჯაიანს, მანუჩარ სიხარულიძეს (ესპანური ცეკვა), გიორგი ბერიძეს (უნგრული ცეკვა).

On December 11-12, 2010 P. Tchaikovsky's *Swan Lake* was presented at the Tbilisi Art Hall. Ana Muradeli was partnered by the Bolshoi Theatre soloist Karim Abdulin on December 11. The performances saw debuts by Philippe Solano (pas de troix, the Neapolitan dance), Lika Labadze, Giorgi Mshvenieradze, Nika Djaiani, Manuchar Sikharulidze (the Spanish dance), Giorgi Beridze (the Hungarian dance).



ანა მურადელი, კარიმ აბდულინი. „მაკნატუნა“
Ana Muradeli, Karim Abdulin. *The Nutcracker*

2011 წლის 29 იანვარს ლ. მინკუსის „დონ კიხოტში“ ბოლერო პირველად იცეკვა ოთარ ხელაშვილმა ანა გორგიაშვილთან ერთად.

On January 29, 2010 the Bolero dance from L. Minkus' *Don Quixote* was performed for the first time by Otar Khelashvili, partnering Ana Gorgiashvili.



ნუცა ჩეკურაშვილი და ფილიპ სოლანო. „მაკნატუნა“
Nutsa Chekurashvili, Philippe Solano. *The Nutcracker*

2010 წლის 25 დეკემბერს თბილისი არტ ჰოლში პ. ჩაიკოვსკის „მაკნატუნას“ პრემიერა გაიმართა. ბავშვებისათვის განსაკუთრებით საყვარელი ბალეტი ალექსეი ფადეეჩევმა დადგა. იმის გამო, რომ თეატრის შენობა სარემონტო სამუშაოების გამო დაკეტილია და სპექტაკლები თბილისი არტ ჰოლის არასტანდარტულ სცენაზე იმართება, იური გრიგოროვიჩის ცნობილი სპექტაკლის წარმოდგენა შეუძლებელი გახდა. ა. ფადეეჩევმა ბალეტის სრულიად ახალი ვერსია დადგა, რომელშიც სოლიკო ვირსალაძის კოსტიუმები და დეკორაციაა გამო-ყენებული. სპექტაკლები რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მაკნატუნა-პრინცის პარტიები იცეკვეს გიორგი მშვენიერაძემ, ფილიპე სოლანომ, მამუკა კიკალიშ-ვილმა, მარის პარტია – ანა ალბუ-თაშვილმა, ნუცა ჩეკურაშვილმა, ნინო მათიაშვილმა. ფერია დრაჟეს პარტია



ანა ალბუთაშვილი, გუგა მშვენიერაძე. „მაკნატუნა“
Ana Albutashvili, Guga Mshvenieradze. *The Nutcracker*

– ნინო ანანიაშვილმა, ლალი კანდელაკმა, ანა მურადელმა, პრინცის პარტია კი – ვასილ ახმეტელმა, დავით ანანიაშვილმა კარიმ აბდულინმა (მოსკოვის დიდი თეატრი).

On December 25, 2010 P. Tchaikovsky's *The Nutcracker* was premiered at the Tbilisi Art Hall. Due to the Opera and Ballet Theatre being closed down for renovation, the production had to be performed on the non-standard stage of the Hall, so a new version was staged by Alexei Fadeechev, using costumes and decorations by Soliko Virsaladze. These several performances featured Giorgi Mshvenieradze, Philippe Solano and Mamuka Kikalishvili as the Nutcracker-Prince, while Marie role was danced by Ana Albutashvili, Nutsa Chekurashvili and Nino Matiashvili. The Sugar Plum Fairy was performed by Nina Ananiashvili, Lali Kandelaki and Ana Muradeli, and Vasil Akhmeteli, David Ananiashvili and Karim Abdulin (Bolshoi Theatre of Moscow) danced the Prince.

ფილიპ სოლანო. „მაკნატუნა"
Philippe Solano. *The Nutcracker*



უილიამ პრატი, ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი, ლალი კანდელაკი. „მანიერიზმის მშვენიერებანი"
William Pratt, Nina Ananiashvili, Vasil Akhmeteli, Lali Kandelaki. *Charms of Mannerism*



2011 წლის 5 და 6 თებერვალს თბილისი არტ ჰოლში საბალეტო გალა-კონცერტები გაიმართა. ერთმოქმედებიანი ბალეტებისა და მინიატურების პროგრამა იმითაც იყო საინტერესო, რომ ერთმოქმედებიანი ბალეტის – „მანიერიზმის მშვენიერებანი" თბილისური პრემიერა გაიმართა. ბალეტი ნინო ანანიშვილისთვის 1997 წელს ალექსეი რატმანსკიმ  ფ. კუპერინის მუსიკაზე (ფ. შტრაუსის გაორკესტრება) დადგა. მთავარი პარტიები ნინო ანანიაშვილმა, ლალი კანდელაკმა, ვასილ ახმეტელმა და უილიამ პრატმა შეასრულეს. პროგრამაში წარმოდგენილ ბალეტებში დებიუტი ჰქონდათ: ანა მურადელს („მოცარტიანა"), ვასილ ახმეტელს („ჩაიკოვსკი პა დე დე"), ეკა სურმავამ პირველად იცეკვა ი. სტრავინსკის "Duo Concertant"-სა და „საგალობელში" („ადაჟიო"). „მოცარტიანასა" და "Duo Concertant" ანა მურადელს და ეკა სურმავას პარტნიორობას ბელორუსის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური თეატრის სოლისტი იგორ არტამონოვი უწევდა.

On February 5 and 6 ballet galas were presented at the Tbilisi Art Hall. The mixed bill of one-act ballets and miniatures was also significant for the Tbilisi premiere of *Charms of Mannerism*, staged in 1997 by Alexei Ratmansky on music by F. Couperin (orchestration by F. Strauss) for Nina Ananiashvili. The principal roles were performed by Nina Ananiashvili, Lali Kandelaki, Vasil Akhmeteli and William Pratt. The debut performances in the program were danced by Ana Muradeli (*Mozartiana*), Vasil Akhmeteli (*Tchaikovsky Pas de Deux*), Eka Surmava (I. Stravinsky's *Duo Concertant* and the adagio in *Sagalobeli*). In *Mozartiana* and *Duo Concertant* Ana Muradeli and Eka Surmava were partnered by Igor Artamonov - soloist of the Belarus National Opera and Ballet Theatre.

ლალი კანდელაკი, ნინო ანანიშვილი. „მანიერიზმის მშვენიერებანი"
Lali Kandelaki, Nina Ananiashvili. *Charms of Mannerism*



# თამარა თუმანოვას

## უნიკალური ფოტოები საქართველოში!



ამერიკაში მოღვაწე ცნობილი ქართველი ბალერინას ცხოვრების უცნობი დეტალები ჰოლივუდიდან ჩამოტანილი მასალების საშუალებით ქართველებისთვისაც გახდება ხელმისაწვდომი. ოსკარის კინოაკადემიის არქივიდან გამოგზავნილი ფოტოები, რომელიც საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმმა მიიღო, საკმაოდ ძვირადღირებულია. ექსპოზიცია მუზეუმში სულ მალე გამოიფინება.

თამარ თუმანიშვილი გადასახლებაში მიმავალ დედას – ევგენია თუმანიშვილს მატარებლის ვაგონში გაუჩნდა. ქართველი ემიგრანტი ჯორჯ ბალანჩინის გამორჩეული მოსწავლე იყო, მისი ბალეტების მუზა. მაგრამ იგი ასევე ცნობილია, როგორც ჰოლივუდის ფილმებისა და ბროდვეის მიუზიკლების მონაწილე. გასული საუკუნის ამერიკაში ის ყველაზე გამორჩეულ მოცეკვავედ – ბალეტის შავ მარგალიტად ითვლებოდა და მალე ჰოლივუდის ვარსკვლავადაც იქცა. 1944 წელს თუმანოვა ფილმში „დიდების დღეები" – ცნობილ ამერიკელ მსახიობს გრეგორი პეკს უწევდა პარტნიორობას. მაშინ პრესა თამარა თუმანოვასა და ჰოლივუდის ვარსკვლავის ახლო მეგობრობაზეც ალაპარაკდა. თუმცა ბალერინა ცოლად ფილმის პროდიუსერს კეისი რობინსონს გაყვა. შემდეგ იყო ამერიკული მიუზიკლი „ვარსკვლავი ჩვენს ქალაქში". მისი პირადი არქივი ამ დრომდე შეერთებული შტატების ოსკარის კინოაკადემიის მუზეუმში ინახება. კინოსა და თეატრის მუზეუმის თხოვნით ბიბლიოთეკაში დაცული ფოტოების ნაწილი ქართულ მხარეს გადმოეცა.



**გიორგი კალანდია**, *მუზეუმის დირექტორი*: ჩვენ დავიწყეთ მოლაპარაკება ოსკარის აკადემიის ბიბლიოთეკასთან. მართლაც უნიკალური ფოტოები მივიღეთ, განსაკუთრებით ისინი, რომელიც გრიგორი პეკთან არის გადაღებული. ფოტოების განსაკუთრებულ ხარისხთან ერთად ჩვენ მივიღეთ მათი ექსკლუზიურად გამოყენების უფლება.

ფოტოები საკმაოდ ძვირადღირებულია, თუმცა ამერიკული მხარე დათანხმდა, ის უსასყიდლოდ გადმოეცა საქართველოსთვის ქართული კინოფილმების ფოტოების სანაცვლოდ. დღემდე საქართველოში თუმანოვას რამდენიმე ფოტო იყო ცნობილი, რომელიც ოპერის თეატრის და ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" არქივში ინახებოდა. ისინი მხოლოდ ასლებს წარმოადგენდა და ძირითადად ჟურნალებიდან იყო ამოღებული.

თამარა თუმანოვა 14 წლის წინ ლოს ანჟელესში გარდაიცვალა და ჰოლივუდის სასაფლაოზე დედის გვერდით დაკრძალეს. მას მიაჩნდა, რომ რასაც მიაღწია დედის, პრინცესა ევგენია თუმანიშვილის დამსახურება იყო. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ქართველი წარმატებული ჩვენებურის არქივი ჩამოიტანეს. შემდეგი ეტაპი ჯორჯ ბალანჩინის არქივის მასალები და პირადი ფოტოები იქნება. ექსპონატები თეატრისა და კინოს მუზეუმში საგანგებოდ გამოიფინება.

**ფოტოები იბეჭდება საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ნებართვით.**

# Unique photomaterials of Tamara Toumanova, soon in Georgia

Unknown details of life of the Georgian ballerina in the United States will be unveiled by the material brought to her homeland from Hollywood. Photographs from the Academy Film Archive, received by the Museum of Theatre, Cinema, Music and Choreography of Georgia, are considered to be expensive. They will be exhibited at the Museum shortly.




Tamar Tumanishvili was born to her mother Evgenia on train, on her way for resettlement. The Georgian emigrant was George Balanchine's remarkable pupil, a source for his inspiration. Toumanova is well-known as actor of the Hollywood movies and Broadway musicals. She was deemed an extraordinary dancer of the USA of the XX century - a Black Pearl of ballet, and soon became a Hollywood star too. In 1944 she partnered well known American actor Gregory Peck in Days of Glory. The press talked about their close relationship, although she married Casey Robinson, producer of the movie. A musical *Star in Our City* followed in her career. Toumanova's private archives have been preserved at the Academy Film Archive of the United States and now part of the photographs at the library has been handed to the Georgian side.

Giorgi Kalandia, director of the Museum: We have begun talks with the Academy Film Archive and have received some unique photographs, especially the ones featuring Toumanova with Gregory Peck. Receiving these photographs in special quality, we have also been granted exclusive rights for using them.



The photographs are expensive, although the American side has accepted to hand them over to Georgia for free. Until this time there were only several photos of Toumanova known in Georgia – these were stored in the archives of the Opera and Ballet Theatre and of the *Soviet Art* magazine, although represented copies from various magazines.

Tamara Toumanova died in Los Angeles 14 years ago and was buried at the Hollywood cemetery, next to the grave of her mother. The ballerina credited her for everything she achieved. This is the first occasion of receiving archival material of a well-known Georgian from the United States. The next phase involves material and private photos of George Balanchine. The items will be displayed at the Theatre and Cinema Museum.



**Photographs are published with permission of the Museum of Theatre, Cinema, Music and Choreography of Georgia.**



# ნინო ანანიაშვილს იტალიის სოლიდარობის ვარსკვლავის ორდენი გადასცეს

იტალიის რესპუბლიკის მაღალი ჯილდო პრიმა-ბალერინას, საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელს 16 მარტს ევროპის სახლში საქართველოში იტალიის რესპუბლიკის ელჩმა, მისმა აღმატებულება ვიტორიო სანდალიმ გადასცა. ეს ჯილდო ნინო ანანიშვილმა ქართულ-იტალიურ კულტურულ ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიენიჭა.

**ვიტორიო სანდალი**, *საქართველოში იტალიის რესპუბლიკის ელჩი:*

„ეს ორდენი ქართველ ბალერინას იტალიის პრეზიდენტის ჯორჯო ნაპოლიტანოს სახელით გადავეცი, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა საუკუნოვანი იტალიურ-ქართული ურთიერთობისა. ნინო ანანიაშვილი დაჯილდოვდა მსოფლიო დონის ღონისძიებებისათვის, რომელთა ორგანიზატორად თავად გვევლინება. მისი ხელმძღვანელობით უამრავი პრესტიჟული დონის შეხვედრა მოეწყო ქართველ და იტალიელ მოღვაწეებს შორის. ამჟამად ჩვენი ქვეყნის ურთიერთობები ძალზე გააქტიურებულია როგორც ინსტიტუციურ და ეკონომიკურ, ასევე სოციალურ და კულტურულ დონეზე“.

**ნინო ანანიაშვილი**, *პრიმა-ბალერინა:*

„სოლიდარობის ვარსკვლავის ორდენის მიღება ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. მოხარული ვარ, რომ ჩემი შრომა ასე შეფასდა. თუმცა, ეს პირველ რიგში ჩემი ქვეყნის დაფასებაა, რადგან ჩემი ცეკვით მე საქართველოს სახელი გამაქვს მსოფლიოში. არა აქვს მნიშვნელობა, სად მოღვაწეობ და სად ცხოვრობ. თუ ხელოვნებას ემსახურები ყველგან გაღიარებენ“.

დაჯილდოების ცერემონიალთან ერთად ევროპის სახლში თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის მიერ მოწყობილი გამოფენა „იტალია საქართველოში – ათასწლოვანი დიალოგი“ გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო უნიკალური ექსპონატები, რომლებიც უძველესი დროიდან მე-19 ს. 80-იან წლებამდე საქართველო-იტალიის კულტურულ ურთიერთობებს ასახავს.



ნინო ანანიაშვილი და საქართველოში იტალიის რესპუბლიკის ელჩი ვიტორიო სანდალი ჯილდოს გადაცემისას

Nina Ananiashvili and H.E. Mr. Vittorio Sandalli, the Ambassador of the Italian Republic to Georgia, during the awarding ceremony

# Nina Ananiashvili has been awarded the Order of the Star of Italian Solidarity

**The awarding took place at the Europe House on March 16. Prima Ballerina was awarded for special share in developing the Georgian-Italian cultural relations, by H.E. Vittorio Sandali, Ambassador of the Italian Republic to Georgia.**

**H.E. Vittorio Sandali:**

> "The order has been awarded to the Georgian ballerina in the name of Giorgio Napolitano, President of the Italian Republic, which is another testament to the century-long relations of Georgia and Italy. Nina Ananiashvili has been awarded for her events of the international level, the ones that have been organized also by her. Numerous prestigious meetings between Georgian and Italian artists have taken place thanks to her and relations between our countries are very active both on institutional-economic and social-cultural level".

**Nina Ananiashvili**, *Prima Ballerina:*

> "It is great honour to receive the Order of the Star of Italian Solidarity. I am grateful for this reward for my work, although first and foremost this is an aknowledgement of my country, as I work and dance in its name. It does not matter where you work or live – if you serve culture, you will be recognized".

In line with the awarding ceremony, the Europea House hosted an exhibition "Italy in Georgia – a Thousand Years Dialogue" by the Museum of Theatre, Music, Cinema and Choreography. The exhibition presented unique exponates depicting the Georgian-Italian cultural relations from the ancient period to the 1880ies.



# მარია პერინის ზღაპრული სამყარო

# The Fairyland of **Maria Perini**

ლეილა ჭიჭინაძე
**Leila Chichinadze**

1922 წელს, თბილისში, კომენდანტის ქუჩაზე, კომერსანტ არშაკუნის სახლში დაარსდა საქართველოს სამხატვრო აკადემია. არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. ამ გამორჩეული შენობის არქიტექტურა (არქიტ. გრ. ივანოვი), დიზაინი (ინტერიერები გაფორმებულია თბილისში მომუშავე ირანელი ოსტატების მიერ) და იქ გამეფებული შემოქმედებითი ატმოსფერო, თავისი ესთეტიკითა და განწყობით, სრულად შეესაბამებოდა მის დანიშნულებას. ამავე შენობის ფლიგელში, 1937 წლამდე განთავსებული იყო აკადემიის პროფესორის, მხატვარ ჰენრიკ გრინევსკის სახელოსნო და მისი მეუღლის, შესანიშნავი იტალიელი მოცეკვავის მარია პერინის საბალეტო სტუდია.

ჰენრიკ გრინევსკიმ, წარმოშობით პოლონელმა, სამხატვრო განათლება ფლორენციაში მიიღო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ის, დ. ჩუბინაშვილთან, ი. ნიკოლაძესთან, ე. ლანსერესთან, ა. კალგინთან ერთად, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახდა. აკადემიაში გრინევსკი პერსპექტივას, არქიტექტურულ ნახატს, აკვარელით ფერწერას ასწავლიდა. გრინევსკის სტუდენტები (ვ. ბერიძე, დ. ციციშვილი და

In 1922 in Tbilisi, in so called 'House of Arshakuni' on the Komendant Street, the Academy of Art of Georgia was founded. The choice was not random – the house was just appropriate to this new purpose, with its distinguished architecture (by Gr. Ivanov), design (interiors by the Iranian masters working in Tbilisi) and the creative atmosphere within the walls. The outhouse of same building was the place of the workshop of artist Henryk Hryniewski – professor of the academy – and the ballet studio of her spouse, brilliant Italian ballerina Maria Perini, until 1937.

Hryniewski, a native Pole, received his art education in Florence, and upon returning to Georgia became founder – alongside D. Chubinashvili, I. Nikoladze, E. Lanceres, A. Kalgin and others – of the Tbilisi Academy of Arts. He taught perspective, architectural picture, and watercolors at the academy. His students (V. Beridze, D. Tsitsishvili and others) recall his exciting lectures with unorthodox tasks, and mention that he used to take into account every individual feature of his pupils' characters. Hryniewski often taught lectures at the workshop, which was not large, and was decorated with book shelves, paintings, plants and other beautiful items. Many of these were collected by him during scientific expeditions organized by the Historic-Ethnographic Museum.

The ballet studio of Maria Perini was located beside his workshop. Perini was from Northern Italy and had graduated from the Ballet School

სხვ.) მოგვითხრობენ, რომ მას ძალიან საინტერესო ლექციები ჰქონდა, არაორდინარულ დავალებებს აძლევდა შეგირდებს და ამასთან, თითოეულის მიდრეკილებასა და შესაძლებლობას ითვალისწინებდა. ლექციებს ხშირად სახელოსნოში ატარებდა. სახელოსნო დიდი არ იყო. კედლები წიგნის თაროებით, ნახატებით, მცენარეებითა და ბევრი ლამაზი საგნით იყო დაფარული. ეს მდიდარი მასალა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციებში ჰქონდა მოპოვებული.

გრინევსკის სახელოსნოს გვერდით მისი მეუღლის – მარია პერინის საბალეტო სტუდია იყო განთავსებული. პერინი ჩრდილოეთ იტალიიდან იყო და ტურინის სამეფო ოპერის საბალეტო სკოლა ჰქონდა დამთავრებული. მისი მასწავლებლები იყვნენ გამორჩეული ბალეტმაისტერები და ქორეოგრაფები: ფერერო, მენგოლო, ლეგრენი. მარია პერინი წარმატებით გამოდიოდა ისეთ ცნობილ მოცეკვავეებთან ერთად, როგორიც იყვნენ: ვ. ცუკი, პ. ლენიანი, ე. ჩეკეტი (აღსანიშნავია, რომ ჩეკეტი შემდგომ, გარკვეული ხანი (1892-1902), ასწავლიდა პეტერბურგის სამეფო ბალეტის სკოლაში და მისი მოსწავლეები იყვნენ შემდგომში დიდი მოცეკვავეები: ა. პავლოვა ვ. ნიჟინსკი, მ. ფოკინი, ო. პრეობრაჟენსკაია

of the Royal Opera of Turin under the guidance of great ballet masters and choreographers Ferrero, Mengolo and Legreni. She performed alongside such well-known dancers as V. Zucchi, P. Lenian, E. Cecchetti (Cecchetti later (1892-1902) taught at the Royal Ballet School of St. Petersburg, where his students were A. Pavlova, V. Nijinsky, M. Fokine, O. Preobrajenskaya and other great dancers.). In 1890 Perini was invited to perform at the Tbilisi Opera Theatre as soloist. She was the first to show the Georgian audience 32 fouettes, the style of the European dance and virtuoso performance. She was prima ballerina of the Tbilisi Opera Theatre from 1897-1907, followed by pedagogical and concert activities. The establishing of Georgian ballet school is closely tied to Perini's name, while her methods of teaching classical dance and generations raised by her laid solid foundations for developing Georgian ballet.

In 1916 Perini established the first choreographic studio of classical dance in Tbilisi, where exciting ballet production of *Coppelia* by Delibes and a dance act from *The Blue Bird* by Maeterlinck were staged. The studio raised many masters of the Georgian ballet art, including Dimitri and Irina Aleksidze, Maria Bauer, Soliko Virsaladze, Nino and Tamar Ramishvili, Iliko Sukhishvili, Elene



მარია პერინი აღსაზრდელებთან
Maria Perini with her pupils



თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ქორეოგრაფიული სტუდია. მოსწავლეთა შორის ბალეტმაისტერები დავით ჯავრიშვილი, მარია პერინი, გარი ბარხუდაროვი. 1930 წ.
Choreographic studio of the Tbilisi Opera and Ballet Theatre. Ballet masters David Javrishvili, Maria Perini, Gari Barkhudarov with the pupils. 1930.

Chikvaidze, Maria Kazinets, Elene Gvaramadze, Tamara and Vakhtang Chabukianis and others.

In 1920 the studio was renamed Ballet School of the State Theatre. Perini was appointed director, while N. Sergeev – ballet master at the St. Petersburg Opera Theatre – was invited as pedagogue. The fee was not particularly high, although kids from poorer families were still taught for free. Nino and Tamar Ramishvili enlisted in the studio after their family moved from Baku, although could not continue studying because of the lack of funds. Perini understood the problem straight away and visited the family of these talented girls herself, telling their parents that she was ready to teach the girls for no fee. Around 100 students of various nationalities studied at the studio, many of them for free. And even more, there were special choreographic miniatures and concert numbers presented, proceedings from which were given to these young performers. In 1925 the studio presented a performance by students, which poet I. Grishashvili wrote: "Student girls rushed around. You could see Perini's caring hand in their dancing, as well as Sergeev's and Arbatov's artistic taste. The icing on the cake were the four girls: L. Chikvaidze, L. Begtabegishvili, M. Bauer, L. Gvaramadze. From the boys you could distinguish V. Chabukiani with his fire and temperament - he definitely has bright future ahead of him." In 1927, with an initiative by the arts department of the National Committee for Education, an evening marking 30 years of Maria Perini's artistic and pedagogical work was commissioned. The Opera Theatre hosted the performances of *The Magic Lake* and other choreographic etudes. Participating in the evening were Perini's students and dancers raised in her studio: E. Chikvaidze (Firebird), E. Gvaramadze (Twirl), The Spanish Pictures featuring M. Kazinets, M. Bauer and T. Chabukiani. Perini's own choreographic numbers were exquisite. She possessed her body well, performed double and triple pirouettes, a high jump, and was highly graceful. The audience greeted her with thunderous applause each time.

Perini's students remembered their teacher as a warm, fair, exciting person who dedicated all her life to establishing and developing classical ballet in Tbilisi, and recall their childhood that was made beautiful thanks to her.

On every New Year's Eve Perini would decorate a new year tree at the workshop together with the children. They would then share a table of delicious Italian food and sweets. A concert would follow, and Henryk Hrynewski would also take part in these activities – he was known as a very reserved person, although he was different when spending time with children. Their house was a hospitable and joyous environment, hosting the known faces of the Tbilisi society. Guests would spend time playing Chinese snooker, dining (Perini was great master of Italian dishes), talk about theatre, opera, cinema. Henryk was especially fascinated by the Italian opera. Perini would read artistic literature mostly in French, speaking Russian with an accent. She

და სხვ.). 1890 წელს პერინი თბილისის ოპერის თეატრში სოლისტად მოიწვიეს. ქართველ მაყურებელს პირველად სწორედ პერინიმ აჩვენა 32 ფუეტე, აგრძნობინა ევროპული ცეკვის სტილი და აჩვენა საცეკვაო ნომრების ჭეშმარიტად ვირტუოზული შესრულება. 1897-1907 წლებში ის თბილისის საოპერო თეატრის პრიმა-ბალერინა იყო, ხოლო შემდეგში აქტიურ საკონცერტო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. პერინისთანაა დაკავშირებული ქართული საბალეტო სკოლის საფუძვლის ჩაყრა. კლასიკური ცეკვის შესწავლის მისეულმა მეთოდმა, თაობებმა, რომელიც მან აღზარდა, მყარი საფუძველი მოამზადა ქართული ბალეტის ჩამოყალიბებისათვის.

მარია პერინიმ 1916 წელს, თბილისში კლასიკური ცეკვების პირველი ქორეოგრაფიული სტუდია გახსნა, სადაც დაიდგა საინტერესო საბალეტო წარმოდგენები: დელიბის „კოპელია", საცეკვაო ნომერი მეტერლინკის „ლურჯი ფრინველიდან". პერინის სტუდიაში აღიზარდა ქართული ხელოვნების მრავალი გამოჩენილი ოსტატი: დიმიტრი და ირინა ალექსიძეები, მარია ბაუერი, სოლიკო ვირსალაძე, ნინო და თამარ რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი, ელენე ჩიკვაიძე, მარია კაზინეცი, ელენე გვარამაძე, თამარ და ვახტანგ ჭაბუკიანები და სხვები.

1920 წელს სტუდიას „სახელმწიფო თეატრის საბალეტო სკოლა" დაერქვა. სკოლის დირექტორად პერინი დაინიშნა, რეპეტიტორად კი პეტერბურგის ოპერის თეატრის ცნობილი ბალეტმაისტერი ნ. სერგეევი მოიწვიეს. სწავლის გადასახადი დიდი არ იყო, მაგრამ ხელმოკლე ოჯახის ბავშვებს უფასოდ ასწავლიდნენ. ნინო და თამარ რამიშვილები პერინის სტუდიაში ბაქოდან ჩამოსვლის შემდეგ მოხვდნენ, მაგრამ, უსახსრობის გამო, მალევე მოუხდათ მეცადინეობის შეწყვეტა. პერინის არ გასჭირვებია იმის მიხვედრა, თუ რა იყო ნიჭიერი გოგონების გაუჩინარების მიზეზი. იგი პირადად ესტუმრა რამიშვილების ოჯახს და შეწუხებულ მშობლებს გამოუცხადა, რომ მზადაა უსასყიდლოდ ამეცადინოს ასეთი იმედის მომცემი ბავშვები. პერინის სტუდიაში სხვადასხვა ეროვნების 100-მდე მოზარდი ირიცხებოდა და ბევრი მათგანი სწავლის საფასურს არ იხდიდა. უფრო მეტიც, ასეთი კატეგორიის მოწაფეებისათვის პერინი სპეციალურად დგამდა ქორეოგრაფიულ მინიატურებსა და საკონცერტო ნომრებს, ხოლო ბილეთების გაყიდვისგან შემოსულ თანხას ისევ პატარა შემსრულებლებს უნაწილებდა. 1925 წელს პერინის საბალეტო სტუდიამ თავის მოწაფეთა საჩვენებელი დილა გამართა.



especially loved cinema and often went to watch films with her friends. As is often remembered, her loud laughter would be heard in cinema halls.

Before returning to Italy, Perini attended the premiere of the first Georgian ballet, staged by her pupil Vakhtang Chabukiani, in 1936. She was happy to see that the Georgian ballet was in safe hands. The same year she was nominated to become People's Artist of the Georgian Soviet Republic, and was preparing for the occasion, although the Soviet authorities opted not to award foreign citizen with this prestigious status. In 1937 her son – Ferdinand Inochenz – became victim of the Stalin regime. He lived in Bryansk with spouse and two kids. Also exiled was spouse of Perini's daughter – engineer at the metallurgy factory in Taganrog, while fate of her daughter is unknown to this day. Hrynewski himself could not survive political repressions of 1937 – this special person and pedagogue was exiled to Siberia at the age of 68. He did not return. Hrynewski did not have children or relatives succeeding him, and his rich archives and art legacy was almost entirely lost. Perini was also forced to leave Soviet Union, and had to sell everything she had to be able to move first to Turin, and then to Nice where her sister had a guesthouse. Maria Perini passed away in Nice in 1938. Results of her work did not get lost though, as many of her students became well-known dancers or choreographers – some of them staying in Tbilisi, others moving to Russia and abroad – although the teacher could not witness their success during her life. Many years since then, Vakhtang Chabukiani said in his memoirs: "In our childhood we all had bright, kind fairytales. It was from this kind fairyland that Maria Perini came to us..."

პოეტი ი.გრიშაშვილი წერდა: „მაყურებლის თვალწინ მოჰქროდნენ მოწაფე გოგონები. ყველას ეტყობოდა პერინის მზრუნველი ხელი და სერგეევისა და არბატოვის მხატვრული გემოვნება. დილის თაიგულებად უნდა ჩაითვალოს, როგორც უკვე დასრულებული საბალეტო მსახიობები – ლამაზი ოთხეული: ლ. ჩიკვაიძე, ლ. ზეგთაზეგიშვილი, მ. ბაუერი, ლ. გვარამაძე. ვაჟთა შორის იშვიათი ტექნიკით, ცეცხლით და ტემპერამენტით ცეკვავდა ვ. ჭაბუკიანი, რომელსაც უთუოდ დიდი მომავალი აქვს“. 1927 წელს განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილების ინიციატივით გაიმართა მარია პერინის სამსახიობო და საბალეტო-პედაგოგიური მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. ოპერის თეატრში დაიდგა ,,ჯადოსნური ტბა" და სხვადასხვა ქორეოგრაფიული ეტიუდები. საღამოში მონაწილეობდნენ პერინის მოწაფეები და მის სტუდიაში აღზრდილი მოცეკვავეები: ე. ჩიკვაიძე („ფასკუნჯი“), ე. გვარამაძე („ზზრიალა“), „ესპანური სურათების“ შესრულებაში გამოირჩეოდნენ: მ. კაზინეცი, მ. ბაუერი და თ. ჭაბუკიანი. თავად მარია პერინის, როგორც კლასიკური ბალეტის მოცეკვავის, ქორეოგრაფიული ნომრები დახვეწილი და ჰაეროვანი იყო. ის კარგად ფლობდა სხეულს, ასრულებდა ორმაგ და სამმაგ პირუეტს, ჰქონდა მაღალი ნახტომი, იყო ზედმიწევნით გრაციოზული. მაყურებელი მას ყოველთვის მქუხარე აპლოდისმენტებით ხვდებოდა“.

პერინის მოსწავლეები საკუთარ მასწავლებელს იხსენებდნენ, როგორც თბილ, სამართლიან, ხალისიან ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა თბილისში კლასიკური ბალეტის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ხაზს უსვამენ თბილ და ლამაზ გარემოს, სადაც პერინის წყალობით მათმა ბავშვობამ გაიარა.

ყოველ ახალ წელს მარია სახელოსნოში დგამდა დიდ ნაძვის ხეს და ბავშვებთან ერთად რთავდა მას. სათამაშოებსაც ერთად ჭრიდნენ, შემდეგ მიუსხდებოდნენ სუფრას, რომელიც გემრიელი იტალიური კერძებითა და ტკბილეულით იყო გაწყობილი. სადილის შემდეგ იმართებოდა კონცერტი. ამ პატარა დღესასწაულებში ჰენრიკ გრინევსკიც იღებდა მონაწილეობას. მას საოცრად მოკრძალებულ და თავშეკავებულ პიროვნებად მოიხსენიებენ, თუმცა ბავშვებთან ურთიერთობაში ის ივიწყებდა ჩვეულ აკადემიზმს და მათთან ერთად ხალისობდა. მათი სახლი სტუმართმოყვარე და მხიარული იყო, სადაც იმდროინდელი თბილისის ინტელიგენცია იკრიბებოდა. თამაშობდნენ ჩინურ ბილიარდს, ვახშმობდნენ (პერინი შესანიშნავად ამზადებდა იტალიურ ნაციონალურ კერძებს), საუბრობდნენ თეატრზე, ოპერაზე, კინოზე. ჰენრიხს განსაკუთრებით ხიბლავდა იტალიური ოპერა. მარია პერინი მხატვრულ ლიტერატურას ძირითადად ფრანგულად კითხულობდა, რუსულად კი აქცენტით ლაპარაკობდა... მას გამორჩევით უყვარდა კინო და ხშირად დადიოდა ფილმების სანახავად მეგობრებთან ერთად და როგორც იგონებენ, მისი ხმამაღალი, ბავშვური სიცილი ხშირად გადასდებია მაყურებელთა დარბაზს.

იტალიაში დაბრუნებამდე, 1936 წელს, პერინი დაესწრო მისი აღზრდილის ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ შექმნილი პირველი ქართული ბალეტის („მზეჭაბუკი“) პრემიერას და დარწმუნდა, რომ მის შრომას უკვალოდ არ ჩაევლო. ქართულ ბალეტს საიმედო მომავალი ესახებოდა. ამავე წელს პერინი წარდგენილ იქნა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდებაზე. ამისთვის ემზადებოდა კიდეც, მაგრამ ბოლო წუთს კომუნისტური ხელისუფლების წარმომადგენლებმა გადაიფიქრეს, ვინაიდან იგი უცხოეთის მოქალაქე იყო. 1937 წელს სტალინური რეჟიმის მსხვერპლი გახდა პერინის შვილი – ფერდინანდ ინოჩენცი, რომელიც ცოლთან და ორ შვილთან ერთად ქ. ბრიანსკში ცხოვრობდა. დაიჭირეს მისი ქალიშვილის ქმარი, ქ. ტაგანროგის მეტალურგიული ქარხნის ინჟინერი, ქალიშვილის ბედი კი დღემდე უცნობია. 1937 წლის პოლიტიკურ რეპრესიებს ვერც ჰენრიკ გრინევსკი გადაურჩა. სამოცდარვა წლის ასაკში ეს გამორჩეული ადამიანი და პედაგოგი ციმბირში გადაასახლეს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. შვილები და ნათესავები არ დარჩენია. მისი მდიდარი არქივი და მხატვრული მემკვიდრეობა კი თითქმის მთლიანად განადგურდა.

საბჭოთა კავშირიდან გაასახლეს მარია პერინიც, რომელიც იძულებული გახდა გაეყიდა ყველაფერი, რაც კი რამ ებადა რომ სამგზავრო ფული შეეგროვებინა. საქართველოდან ჯერ ტურინში გაემგზავრა, ხოლო შემდეგ ნიცაში გადავიდა, სადაც მის დას პანსიონი ჰქონდა. 1938 წელს მარია პერინი ნიცაში გარდაიცვალა. მარია პერინის შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. მისი მოწაფეების დიდი ნაწილი სახელგანთქმული მოცეკვავე ან ქორეოგრაფი გახდა. ზოგი აქვე დარჩა თბილისში, ზოგი რუსეთსა და საზღვარგარეთ მოღვაწეობდა. მაგრამ მასწავლებელი მათ წარმატებას ვერ მოესწრო. მრავალი წლის შემდეგ, ერთ თავის მოგონებაში ვ. ჭაბუკიანი ამბობდა: „ბავშვობაში ყველას გვქონდა ნათელი, კეთილი ზღაპრები... სწორედ ამ კეთილი, ზღაპრული სამყაროდან ოდესღაც მოვიდა ჩვენთან მარია პერინი...“



# ვახტანგ გუნაშვილი
## Vakhtang Gunashvili

საქართველოს სახალხო არტისტი ვახტანგ გუნაშვილი 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. ხუთი ათეული  წელი ამშვენებდა მისი ხელოვნება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენას, სადაც მოღვაწეობა ვახტანგ ჭაბუკიანის მიწვევით დაიწყო. დიდმა მოცეკვავემ და ქორეოგრაფმა ახალგაზრდა, დამწყები ხელოვანი ქორეოგრაფიულ სასწავლებლის პედაგოგის სერაფიმე ვეკუას რჩევით გამოსცადა და დასში ჩარიცხა. ამ დროს ოპერის თეატრში მოღვაწეობდა შესანიშნავი ქორეოგრაფი და მოცეკვავე დავით ჯავრიშვილი. ქართულის ცეკვა სწორედ მისი წინადადებით დაიწყო და მისი უბადლო შემსრულებლის სახელი სცენაზე პირველი გამოჩენისთანავე დაიმსახურა. სწორედ მან შემოიტანა „ქართულში“ ისეთი ილეთები, როგორიცაა მუხლზე დგომა, ცერებზე შედგომა, მუხლზე ტრიალი. ჩვენი თეატრის სცენაზე იგი კლასიკურ ბალეტებშიც გამოდიოდა და პარტნიორობას უწევდა ნონა გუნიას, ლილიანა მითაიშვილს, ალა დვალს, იამზე დოლაბერიძეს, მაია ალფაიძეს... მონაწილეობდა „დონ კიხოტში“, „მთების გულში“, „სინათლეში“, „გორდაში“, „მაკნატუნაში“. ვ. გუნაშვილი ცეკვავდა კლასიკურ ვარიაციებს და სახასიათო ნომრებს. სიცოცხლის ბოლომდე, უკვე ასაკოვანი, თეატრში ყოველ დილით მოდიოდა და კლასს გადიოდა. ბოლოს სცენაზე ერთ საინტერესო საღამოზე გამოჩნდა. მუსიკისა დ დრამის თეატრში, „საუკუნის ავტოგრაფის“ ბანერს, ღვაწლმოსილ ქართველ ხელოვანებთან ერთად მისი ავტოგრაფიც ამშვენებს.

Vakhtang Gunashvili, People's Artist of Georgia, passed away at the age of 85. His art was part of the stage of the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre for 50 years, where he began his career with the invitation from Vakhtang Chabukiani. The great dancer and choreographer tested the young beginner with the advice of Seraphime Vekua, the pedagogue of the Choreographic School, and enrolled him in the company. Gunashvili began performing the Georgian Dance with the suggestion of David Javrishvili, remarkable choreographer and dancer at the theatre. Gunashvili's Georgian Dance performances were considered unparalleled from his very first appearance. He was the dancer who introduced into the Georgian Dance elements like standing on knees and on toes, and spinning on knees. He also performed in classical ballets and partnered Nona Gunia, Liliana Mitaishvili, Ala Dvali, Iamze Dolaberidze, Maya Alpaidze danced in *Don Quixote, The Heart of the Mountains, The Light, Gorda, The Nutcracker.* Gunashvili performed classical variations and character numbers, and kept coming to the theatre for classes until the very respectful age. His last appearance came at an interesting event at the Music and Drama Theatre, where the banner for Autograph of the Century featured his autograph alongside those of other respected Georgian artists.

# თენგიზ სანაძე
## Tengiz Sanadze

გარდაიცვალა თენგიზ სანაძე, საბალეტო დასის ყოფილი წამყვანი სოლისტი. ოთხი წლის წინ მას დაბადებიდან 80 წლის იუბილე დიდი სიყვარულით მიულოცა მშობლიურმა თეატრმა, სადაც ათეული წლები ამშვენებდა სცენას მისი ცეკვა. მოცეკვავის დებიუტი ბალეტ „გედების ტბაში“ შედგა. მაშინ 19 წლის იყო.  რბილმა ნახტომმა, რომელიც მის შესრულებაში გამოირჩეოდა, ამ ბალეტში მისი ადგილი დაუმკვიდრა. პრინცი „გედების ტბაში“ სცენაზე ასოთხმოცჯერ იცეკვა. მაგრამ მისთვის მაინც გამორჩეული ოტელოს პარტია იყო, ჭაბუკიანის განუმეორებელ სპექტაკლში. სწორედ იგი ცვლიდა დიდ მოცეკვავეს. პარტიას მასთან თავად ვახტანგ ჭაბუკიანთან ამზადებდა. თენგიზ სანაძე მოცეკვავეთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომლებიც ქართული ბალეტის სათავეებთან იდგნენ.

Tengiz Sanadze, former leading soloist of the company, passed away. Four years ago the theatre congratulated him with his 80th anniversary. The stage of the theatre was the place of his dancing for decades. His debut came in *Swan Lake*, at the age of 19. Soft jump, characteristic of his dancing, booked him a place in this ballet. Sanadze performed the Prince of *Swan Lake* a hundred and eighty times, although the special role for him was that of *Othello*, in the unparalleled Chabukiani ballet. He was the one standing in for the great dancer, and prepared the role with Chabukiani. Tengiz Sanadze was among the dancers who stood at the roots of the Georgian ballet.



## საბალეტო დასმა ტალინის 2011 წლის ევროპის კულტურულ დედაქალაქად გამოცხადების ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა

9 და 10 თებერვალს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში, NOKIA Concert Hall-ში, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა გასტროლი გამართა. წარმოადგინეს ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა: ჯორჯ ბალანჩინის („მოცარტიანა", "Duo Concertant", „ჩაიკოვსკი პა დე დე", „ტარანტელა"), ირჟი კილიანის ("Sechs Tanze", "Falling Angels"), იური პოსოხოვის („საგალობელი") და ალექსეი რატმანსკის („მანიერიზმის მშვენიერებანი") ბალეტები და საბალეტო მინიატურები. მაყურებლის წინაშე გამოვიდა პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი, რომელმაც მთავარი პარტია იცეკვა ალექსეი რატმანსკის ბალეტში „მანიერიზმის მშვენიერებანი". საბალეტო დასის გასტროლი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო.

## Tbilisi Opera and Ballet State Theatre ballet company sets off to tour Tallinn

February 9 and 10, 2011 saw the Tbilisi Opera and Ballet State Theatre ballet company hold touring performances at the NOKIA Concert Hall in Tallinn, the capital of Estonia. The company presented a mixed bill including ballets and miniatures by George Balanchine (*Mozartiana, Duo Concertant, Tchaikovsky Pas de Deux, Tarantella*), Jirí Kylián (*Sechs Tänze, Falling Angels*), Yuri Possokhov (*Sagalobeli*) and Alexei Ratmansky (*Charms of Mannerism*). The audience saw the Prima Ballerina Nina Ananiashvili perform in *Charms of Mannerism* by Ratmansky. The tour was held with the support of the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia.

## გასტროლი ტაივანში




26 თებერვლიდან 14 მარტამდე საბალეტო დასი გასტროლებზე იმყოფებოდა. ტაივანის დედაქალაქ ტაიპეის სუნ-იატ-სენის მემორიალურ დარბაზში (Sun-at-Sen Memorial Hall) ქალაქი ტაოიუანის საშემსრულებლო ცენტრსა (Taoyuan Performance Center) და იუნლინის სპორტის სასახლეში (Yunlin Stadium) დასმა კლასიკური ბალეტები „გედების ტბა" და „ჟიზელი" წარმოადგინა. მთავარ პარიტებს პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი და დასის სოლისტები ლალი კანდელაკი, ანა მურადელი, ვასილ ახმეტელი ასრულებდნენ. გასტროლში მონაწილეობდა მოსკოვის დიდი თეატრის მოცეკვავე კარიმ აბდულინი.

## Tour to Taiwan

From February 26-March 14 the State Ballet of Georgia was on tour to Taiwan. The company presented classical ballets *Swan Lake* and *Giselle* at the Sun-Yat-Sen Memorial Hall of Taipei, Taoyuan Performance Center, and Yunlin Stadium. The principal roles were performed by the prima ballerina Nina Ananiashvili and soloists of the company – Lali Kandelaki, Ana Muradeli, Vasil Akhmeteli. Also taking part in tour was Karim Abdulin of the Bolshoi Theatre of Moscow.

## ქართულმა ბალეტმა მასიმო ბელინის თეატრში ფრედერიკ ეშტონის პროგრამა წარმოადგინა

ტაივანიდან დაბრუნების შემდეგ, 18 მარტს, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი საგასტროლოდ იტალიაში გაემგზავრა. ქალაქ კატანიაში, მასიმო ბელინის თეატრში, 7 სპექტაკლი გაიმართა. საბალეტო დასმა ფრედერიკ ეშტონის ბალეტები („დღესასწაული", „მარგარიტა და არმანი", პა დე დეები „ტაისი", „სილვია", „გაზაფხულის ხმები" და „კატა") წარმოადგინა. მასიმო ბელინის თეატრის ორკესტრს დავით მუქერია დირიჟორობდა. ერთმოქმედებიან ბალეტში – „მარგარიტა და არმანი" მთავარ პარტიას პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი ასრულებდა. გასტროლი მასიმო ბელინის თეატრის მოწვევით ჩატარდა. საბალეტო დასი თბილისში 28 მარტს დაბრუნდა.

## State Ballet of Georgia presented works by Sir Frederick Ashton at the Teatro Massimo Belini

Upon returning from Taiwan the State Ballet of Georgia set off to tour Italy and performed 7 productions at the Teatro Massimo Bellini in Catania. The company presented ballets by Sir Frederick Ashton (*Birthday Offering, Marguerite and Armand, pas de deux Thais, Sylvia, Voices of Spring, La Chatte*). David Mukeria was conducting the orchestra of the Italian theatre. Prima ballerina Nina Ananiashvili performed the principal role in *Marguerite and Armand*. The tour was carried out with the invitation by the Teatro Massimo Bellini, and the company returned to Tbilisi on March 28.



### ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების წევრები
### LIST OF THE MEMBERS OF FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET

სეზონი 2010/2011 SEASON

| | | |
|---|---|---|
| 1. | გიორგი ჭირაქაძე და სარა ვილიამსონი<br>George Chirakadze and Sarah Williamson | ოქრო<br>Gold |
| 2. | ნეილ და მიშელ დანნები<br>Neil and Michele Dunn | ოქრო<br>Gold |
| 3. | პერ და ულა ეკლუნდები<br>Per and Ulla Lindhe Eklund | ოქრო<br>Gold |
| 4. | მასაიოში და ჯუნკო კამოჰარები<br>Masayoshi and Junko Kamohara | ოქრო<br>Gold |
| 5. | პიტერ და მიკე ლანგენბერგები<br>Pieter J. and Mieke Langenberg | ოქრო<br>Gold |
| 6. | ტონი ტოშევი და აქსენია ტოშევა<br>Toni Toshev and Axenia Tosheva | ოქრო<br>Gold |
| 7. | ფილიპ დუვეზი<br>Philippe Limet Dewez | ოქრო<br>Gold |
| 8. | კაროლინ ფორისტირი<br>Caroline Forestier | ოქრო<br>Gold |
| 9. | ელვირა სანდალი<br>Elvira Sandalli | ოქრო<br>Gold |
| 10. | მაიუმი ინო<br>Mayumi Iino | ვერცხლი<br>Silver |
| 11. | ივან იესტრაბი<br>Ivan Jestrab | ვერცხლი<br>Silver |
| 12. | ლია მაჭავარიანი<br>Lia Machavariani | ვერცხლი<br>Silver |
| 13. | ჯინჯერ მინგესი<br>Jinjer Minges | ვერცხლი<br>Silver |
| 14. | პიერ ორლოვი<br>Pierre Orloff | ვერცხლი<br>Silver |
| 15. | მერილის სევილა-გონზაგა<br>Merylis Sevilla-Gonzaga | ვერცხლი<br>Silver |
| 16. | იზუმი ტაკაჰაში<br>Izumi Takahashi | ვერცხლი<br>Silver |
| 17. | კარენ ვოლფსონი<br>Karen Wolfson | ვერცხლი<br>Silver |

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დარეკოთ:
**For additional information, please call:**
(995 32) 99 93 64

# ქართული ბალეტის
## მეგობართა საზოგადოება

გთხოვთ გაწევრიანდეთ *ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებაში*, რათა დაეხმაროთ ქართულ საბალეტო დასს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ მსოფლიოში ცნობილი ბალერინა ნინო ანანიაშვილი.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების დამფუძნებლები არიან: სილვა აკოპიანი, ლია მაჭავარიანი, ელისაბედ სალარაძე, ირინა ხომერიკი და ლილი ჰაუფი.

საპატიო დამფუძნებლები არიან: მეიდა მაკლარენი და ინა გუდავაძე

მმართველობითი საბჭოს წევრები არიან: ელვირა პიეტრაროა სანდალი – თავმჯდომარე; ლია მაჭავარიანი – თავმჯდომარის მოადგილე.

მმართველობითი საბჭოს საპატიო თავმჯდომარე: მარიელა ს. ტეფტი

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მხარდამჭერია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველი დავით საყვარელიძე.

Please join us as members of *Friends of the Georgian Ballet* and help us to support the revitalization of this venerable ballet company under the artistic directorship of world-renowned ballerina, Nina Ananiashvili

Founders of *Friends of the Georgian Ballet* are: SILVA AKOPIAN, LILY HAUF, IRINA KHOMERIKI, LIA MACHAVARIANI and ELISABED SAGARADZE.

Honorary founders are: MAIDA MACLAREN and INNA GUDAVADZE.

Members of the Governing Board are: ELVIRA PIET-RAROIA SANDALI, Chairman; LIA MACHAVARIANI, Deputy Chairman.

Honorary Chairman is: MARIELLA C. TEFFT

*Friends of the Georgian Ballet* is supported by Managing Director of the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre DAVID SAKVARELIDZE.

## *Friend of*
# THE GEORGIAN BALLET






ISSN 1512-3294